619
1965

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 5 მაისი 1965







# მაისი—გამარჯვების თვეა



მაისი — სიხარულისა და გამარჯვების თვეა.

პირველი მაისს მსოფლიოს სოციალისტური სისტემის ხალხებმა აღნიშნეს როგორც თავისუფლების, შრომისა და მშვიდობის დიადი დღესასწაული.

იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებებით გამოვიდნენ ქუჩებში კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები.

საბჭოთა ადამიანები, მტკიცედ დარაზმულნი დიდი ლენინის დროშის ქვეშ, ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდ საგაზაფხულო ზეიმს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს.

ცხრა მაისს საბჭოთა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნა დიდ სამამულო ომში გამარჯვებისა და ჰიტლერული ფაშიზმის განადგურების ოცი წლისთავი. ეს გამარჯვება — საბჭოთა კავშირის ხალხების სიმამაცისა და ძლევამოსილების ურყევი დადასტურებაა. ეს გამარჯვება — ზეიმი ჩვენი წყობილებისა, სოციალისტური სახელმწიფოსი: მთელმა მსოფლიომ ნათლად დაინახა, რომ არ არსებობს ქვეყნად ძალა, რომელსაც შეუძლია შეარყიოს ჩვენი სოციალისტური სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

საბჭოთა არმია — მსოფლიო მშვიდობის უძლეველი გუშაგია!

საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტია, მუდამ ერთგული ინტერნაციონალიზმის დროშისა, ყველაფერს აკეთებს, რათა უფრო მეტად განამტკიცოს ერთობა ხალხებისა, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის მთელს ჩვენს პლანეტაზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (166) მაისი, 1965 წ.

გამოცემის XV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# სოფლის ფიქრი, სოფლის ლხენა

9775

ეს იყო ორი წლის წინ. ქვემოჭალელებს ახლაც კარგად ახსოვთ ის კრება; გახელაანთ ვანომ ერთი ამბავი ასტეხა იმ დღეს. მაშინაც ჭირვეული მარტის ქარ-წვიმიანი ამინდი იდგა და ისე ციოდა, იტყოდით, დეკემბრის ყინვებმა კეხი მოატრიალეს უკანო. მესხიშვილების ყოფილი სასახლის ვეება დარბაზი, სადაც ახლა კოლმეურნეობის კანტორაა, ხალხით იყო სავსე, მაგრამ უკანა რიგებიდანაც კი კარგად ხედავდნენ, რა დანანებით იქნევდა თავს ტრიბუნაზე ასული მოხუცი ვანო.

— ასე არ შეიძლება,—ამბობდა ვანო.—ამ ოქროსავით მიწას ისე ვერ ვიყენებთ, როგორც საჭიროა. ერთი მითხარით, ეს ბარდა რაფ ვამჯობინეთ ყველაფერს, იონჯა და სხვა ბალახები რით ჩამოუვარდებიან მას?

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე მაჭარაშვილი, რომელსაც სოფელში დიდი და პატარა საშოს ეძახის, კრიჭაშეკრული იჯდა მაგიდასთან; ის კარგად გრძნობდა, რომ ვანო მართალი იყო. თითქოს მისი გულის ფიცარზე დაწერილს კითხულობსო; აი თუნდაც ეს ბარდა! ორმოცდაათი ჰექტარი მიწა დაუთმეს, მერე რა მიწა! მაგრამ, მოსავალს არ იკითხავთ? ორ-სამ ცენტნერსაც ძლივს აიღებ ჰექტარზე, დანახარჯსაც კი ვერ აინაზღაურებ. საქონელი მაინც პირს აკარებდეს! დაილოცა იონჯა და ესპარცეტი. დათესავ და ოთხ-ხუთ წელიწადს თავისთავად ამოდის, არც მოვლა უნდა, არც მუშახელი. თანაც წელიწადში ხუთჯერ მაინც გათიბავს კაცი. მწვანედაც კარგია, თივადაც ხომ უკეთესზე უკეთესი.

ქვემოჭალელებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ ზამთრის პირს კინაღამ შიმშილით დაეხოცათ საქონელი და საიდანღაც ნატვრისთვალივით გამოჩენილი იონჯის და ესპარცეტის თივა-საკვები რომ არა, საქვეყნოდ შეირცხვენდნენ სახელს.

იმ გაზაფხულიდან ორმა წელმაც განვლო. ახლაც, როგორც მაშინ, წივილ-კივილით დანავარდობდა მინდვრებზე მარტი, დაგვიანებულ თოვლსა და ხუშკაკალს აყრიდა მიწას, მაგრამ ამინდს მაინც კარგი პირი უჩანდა.

არასოდეს მესხიაანთ ყოფილ სასახლეს ამდენი ხალხი არ მისწყდომია, როგორც წლევანდელი მარტის მიწურულში. კოლმეურნეობაში ათასზე მეტი წევრი მაინც არის და, თითქოს დათქვესო, ყველამ ერთბაშად მოინდომა კრებაზე მოსვლა. ვინც დარბაზსა და ოთახებში ვერ დაეტია, გარეთ იდგა და ველარ სცილდებოდა კანტორის კარ-ფანჯარას.

მართლაც საოცარი კრება იყო, ერთმანეთს არ აცდიდნენ სათქმელს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებამ „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ სიხარული მოუტანა მთელს ჩვენს ქვეყანას; სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ ქვემოჭალელებიც. პლენუმის გადაწყვეტილებებში მათ დაინახეს სწორედ ის, რისკენაც თვითონ სულითა და გულით მიესწრაფოდნენ. „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დასახული ღონისძიებანი დადებით როლს შეასრულებენ მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ სათანადოდ წარვმართავთ



კრების შემდეგ

ბრძოლას მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. თუ როგორ მივაღწიოთ ამას, დაე თვით კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა გადაწყვიტონ. მათ უკეთ იციან ადგილობრივი პირობები, უკეთ იციან რა დათესონ თავიანთ მიწაზე, რით კვებონ თავიანთი პირუტყვი... ყოველ კონკრეტულ ზონაში სულ სხვადასხვანაირი საკვები კულტურები შეიძლება იყოს“,—ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ სიტყვებში დასახულია პერსპექტივა, რომელიც ახალი, დიდი წარმატებების გზით წაიყვანს ჩვენს სოფლის მეურნეობას.

აი ეს იყო ქვემოჭალელთა მსჯელობის კიდევ ერთი საგანიც.

რამდენი რამ სასიხარულო მოიტანა ამ პლენუმმა—ეს სახელმწიფო შესასყიდი ფასების გადიდებაო, ეს სტაბილური გეგმები თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის... რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა. რამდენი სიტყვაც არის ამ დადგენილებაში, იმდენი სიხარული ილვიძებს გულში!

როგორც კი გაეცნო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალებს, ალექსანდრე მაჭარაშვილმა მაშინვე ფანქარსა და ქაღალდს მოჰკიდა ხელი, იმის გასათვალისწინებლად, თუ უკვე ამ წელში რას მისცემს კოლმეურნეობას ახალი ღონისძიებანი. დასახული პარტიის მიერ. შედარებისათვის გაიხსენა წინა წლები, გააკეთა მთელი მეურნეობის ეკონომიკური ანალიზი. მართალია, მისი გაანგარიშებანი ჯერ მიახლოებითია, ყველაფერი შემდეგში უფრო დაზუსტდება, მაგრამ უკვე წინასწარ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლმეურნეობაც და სახელმწიფოც ახლა გაცილებით უფრო მეტს მიიღებენ, ხვავი და ბარაქა გაცილებით დიდი იქნება.



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

დასცქეროდა თავმჯდომარე ციფრებს და მათს იქით ნათლად ხედავდა როგორ გაიმართება, გაიშლება და უფრო აყვავდება საკოლმეურნეო სოფელი, უფრო მეტი ფასი დაედება გლეხკაცის გარჯას.

ანგარიშის საქმე არ არის!

ქვემოჭალის კოლმეურნეობა ყოველწლიურად მარტო მარცვლეულს, სამას ოცდაათ ტონას აბარებს სახელმწიფოს. ახლა კილოგრამ ხორბალში სახელმწიფო გაცილებით მეტ ფულს იძლევა და ამიტომ შრომასაც მეტი ბარაქა დაედება. ეს ფული, ეს სიმდიდრე შესაძლებლობას მისცემს სოფელს შემდგომი წლისათვის უფრო აამაღლოს მოსავლიანობა, უფრო წარმატებით და რაციონალურად წარმართოს საქმე. ახლა მევენახეობას, მეცხოველეობას, მებაღეობასა და მებაღჩეობას აღარ იკითხავთ?

ქვემოჭალელებს ათას ორასზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ჰყავთ და ოთხი ათასი სული ცხვარი. თუ წინათ საშუალო მეხორცების ერთ კილოგრამ ხორცში სახელმწიფო 97 კაპიკს უხდიდა კოლმეურნეობას, დღეიდან 1 მანეთსა და 50 კაპიკს გადაუხდის. ფერმები უხვი შემოსავლის წყაროებად იქცევიან.

— ნამდვილად ავშენდებით,—ეღიმება მოხუც კოლმეურნეს, პენსიონერ ილო აბულაძეს,—თუ ყველაფერს ეგრე ვიანგარიშებთ, გამოდის. რომ მთელი ჩვენი შემოსავალი კიდევ ასი ათასი მანეთით გაიზრდება, ასე არ არის?

მარტი სწორედ ისეთი იყო, როგორც მაშინ, ამ ორიოდე წლის წინათ, ისეთივე სუსხიანი, ჭირვეული და ცვალებადი, მაგრამ ახლა ქვემოჭალაში თითქოს სულ სხვანაირი დღეები თენდებაო, ორღობეებში სამუშაოზე მიმავალ ხალხს, მეტი სიხალისე და იმედის სხივი მოჰფენია სახეზე. ზემოთ, ტირიფონაზეც, თითქოს სულ სხვა ხმაზე გუგუნებენ ტრაქტორები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფართო ნაბიჯით მისდევს ნათესებს. აქ უფრო ყველაფერი ნათლად ჩანს, ვიდრე ქაღალდზე, წელს კოლმეურნეობამ სახნავი მიწები გამოიყენა ისე, რომ ჰექტარი კი არა, ერთი მტკაველიც არ გააცდინოს, უქმად არ ამყოფოს. აგერ ხორბლისა და მაქრის ჭარხლის ნათესები. ფერდობებზე ვაზის ჩაყრას აპირებენ, დაბლობებში—ხეხილისა. ყველა კულტურას თავისი კუთვნილი ადგილი ექნება—ხორბალსაც, სიმინდსაც, ვაზსაც, ისე, რომ მოსავალი სოფელსაც ეყოს და ქვეყნის წინაშეც პირნათლად მოიხადონ ვალი.

ლ. სიხარულიძე



ამ ვაჟკაცების სახელს ახლა მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ. ოცი წლის წინათ რუსმა მიხეილ ეგოროვმა და ქართველმა მელიტონ ქანთარიამ ბრძოლით გაიკაფეს გზა ალმოდებულ რაიხსტაგში და მის გუმბათზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს.

— ჩაის ბუჩქი პირველად საქართველოში ვნახე, — ეუბნებოდა მელიტონს მასთან სტუმრად ჩამოსული ძმობილი, — სასიხარულოა, რომ თქვენს კოლმეურნეებს წელსაც ბეჯითად უშრომიათ და კარგი მოსავალიც მიუღიათ..

# ერთი ქალია...

**ალიო მირცხულავა**

ჰა, კიდევ გულის კარი გაიღო,
ფიქრმა დასტოვა ლექსის გალია,
ტრფობის ბარათი კიდევ წაიღო,
ჩემი დამწველი ერთი ქალია.

მისი ხატება გულს ჩავისახე,
ის მახარებდა ნათელ დღესავით,
ჩემსავით ლტოლვა უყვარს მზისაკენ,
სულის მკვიდრია და ნათესავი.

გუშინ ცისაკენ დასძრა ხომალდი
და დედამიწას გასცდა თუ არა, —
დასძრა ხომალდი ვარსკვლავთ ხომლამდი,
მეტეორივით მზეს ჩაუარა.

სად არ ვიყავი, სად არ მივლია,
მისი გმირობით თავს ვაქეზებდი,
მწვავე წყურვილმა გზა გამიკვლია,
კიდით კიდემდე მას დავეძებდი.

ვნახე... მომედო ტანთ ჟრუანტელი,
თითქოს მიცნო და გულს ჩამეკონა,
მზეს მიუგავდა სახე ნათელი
და თმების კონა შუქი მეგონა.

არა!.. ეს იყო მარტო იმედი,
მიუწვდომელი ნატვრა გვიანი,
მაღალ ოცნების კართან მიველი,
სივრცეს გავყურებ თვალნაღვლიანი.

ისევ შორსა ვარ... გზებიც გაიყო,
აღარ მასვენებს დარდი ფარული,
ტრფობის ბარათი ფიქრმა წაიღო,
შიგ ჩემი წვაა და სიყვარული.

ვეძებ... არ ვიცი, მე ამ ძიებას —
მიჯნურობა თუ რწმენა დავარქვა,
იმედის დაცდა მეპატიება,
მაგრამ ძნელია მისი დაკარგვა.

დიდიხანია პასუხს მოველი,
გულიც ღიაა — ლექსის გალია,
გადამავიწყდა ტანჯვა ყოველი,
ჩემი მტანჯველი ერთი ქალია.

# ომი ყოველთვის გვიან მთავრდება

**ვახტანგ ჯავახაძე**

სადღაც აგებენ მძიმე ხომალდებს,
სადღაც წყალქვეშა გემი შენდება...
ასე იწყება ომი ომამდე,
ომი გრძელდება ომის შემდეგაც;
და სიკვდილივით მკაცრი რიცხვები
უდარაჯებენ ერთგულ თავდებად,
ომის ყოველთვის ადრე იწყება,
ომი ყოველთვის გვიან მთავრდება.
გული ბედნიერ თარიღს უმადლის,
თუ ჰპოვა მყუდრო თავშესაფარი,
თავს შეგვახსენებს ზოგჯერ სურათი,
ზოგჯერ წერილი, ზოგჯერ საფლავი.
და დაჭრილებით სავსე დერეფანს,
დამწვარ სახლებს და აყრილ რკინიგზებს,
ხალხის ფხიზელი მეხსიერება
ივიწყებს, მაგრამ ვეღარ ივიწყებს.
ვერ ივიწყებენ წარსულს დედები,
ვერ უმალავენ ბავშვებს სიმართლეს,
და ყოველი დღე ისე თენდება,
თითქოს დამთავრდა ომი წინაღდეს.

# მეგობრები ხვდებიან ერთმანეთს

ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა

— მაშინაც აი ასეთი ლამაზი გაზაფხული იდგა. ხეებზე კვირტები სკდებოდნენ... ჩვენ კი გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ვემზადებოდით. ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ გამარჯვების წუთები მოახლოვებული იყო, რომ სიცოცხლისა და სიხარულის მაცნედ მოფრენილი გაზაფხული დიდი ხნის ნანატრს აუხდენდა ხალხს.




ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოცი წლის წინათ განცდილ სიხარულს გაუმარჯოს, ჩვენი ხალხის ალალ გულსა და მარჯვენას გაუმარჯოს!.. მთელ მსოფლიოში მშვიდობას გაუმარჯოს!.. იმ ვაჟკაცების ნათელი ხსოვნისა იყოს, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი ხალხის დღევანდელ ბედნიერებას!

ვინც რა უნდა თქვას, მე მაინც დურგლობა მირჩევნია ყველაფერს. აბა რა შეედრება ამ შალაშინს!..





შალვა თელია

# საქართველოს ვაჟკაცებთან

1942 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე კავკასიის მისადგომებთან გააფთრებული ბრძოლები დაიწყო. მტერი გაშმაგებით მოიწევდა, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა საბჭოთა არმიის მედგარ წინააღმდეგობას; მოძმე საბჭოთა ხალხების შვილები, როგორც ყველგან, სამამულო ომის ყველა ფრონტზე, აქაც მკერდით იდგნენ სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის გადასარჩენად.

მთავარი კავკასიონის მთაგრეხილს მოადგა გერმანელების 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსი გენერალ რუდოლფ კონრადის მეთაურობით. თვითონ კონრადი, როგორც განვლილი ომის ისტორიკოსები წერენ, და როგორც ჩვენ მაშინვე ვხედავდით, არც გაბედულობით გამოირჩეოდა და არც მხედრული ტალანტით, მაგრამ მას ექვემდებარებოდა გერმანელთა რჩეული ალპიური დივიზიები — 1 და მე-4 სამთო-მსროლელი და 97-ე და 101-ე სამთო-ეგერთა დივიზიები.

ამ დივიზიებში გერმანელებს ყველაზე მეტად პირველი დივიზიის იმედი ჰქონდათ; ამ დივიზიას რატომღაც ჰქონდა ლირიკული სახელწოდება „ედელვაისი“ (ალპიური ყვავილის სახელია) და მას მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი ლანცი. ამ დივიზიაში შედიოდნენ გერმანიის საუკეთესო ალპინისტები, სპეციალურად გაწვრთნილნი კავკასიის მთებში ბრძოლისათვის.

მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა მტერს.

კავკასიაში, როგორც ყველა ფრონტზე, მათ წააგეს ტაქტიკისა და სტრატეგიის თვალსაზრისითაც, სწორედ იმიტომ, რომ მათ არ გაითვალისწინეს საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა, ურყევი რწმენა გამარჯვებისადმი, რომელსაც წლების მანძილზე აწრთობდა კომუნისტური პარტია.

„ედელვაისის“ ალპიურ დივიზიაზე იმიტომ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, რომ სწორედ ამ დივიზიის ნაწილები აღმოჩნდნენ ჩვენს პირისპირ, როცა ფრონტის წინა ხაზს მივაღწიეთ.

* * *

ქლუხორის, მარუხისა და სანჩაროს უღელტეხილებს იცავდა მე-8 მსროლელი კორპუსი, რომლის სათავეში იდგა გამოჩენილი ქართველი სარდალი გენერალი კონსტანტინე ლესელიძე. ამ კორპუსში შედიოდა 808-ე და 810-ე პოლკები; მარუხის უღელტეხილი ამ პოლკებს ებარა.

მე აქ არ შევუდგები იმის აღწერას, თუ რა გზა გაიარა ჩვენმა პოლკმა გუდაუთიდან მარუხის მწვერვალებამდე, სადაც უშუალოდ ჩავებით ბრძოლაში. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი პოლკის მესამე ბატალიონი უფროსი ლეიტენანტის ვასილ რუხაძის მეთაურობით, ლესელიძის ბრძანებით, ადრევე გადაეცა კორპუსის მეთაურის მოადგილეს ვასილ აბრამოვს, რომელიც 810-ე პოლკისა და ჩვენი ერთი ბატალიონის ჯარისკაცებით ჩრდილოეთიდან უნდა ასულიყო ქლუხორის უღელტეხილზე და გზა გადაეჭრა მტრის მაშველი ძალებისათვის.

ჩვენ სამხრეთის მხარე გვეჭირა და მტერი გააფთრებით გვაწყდებოდა.

იმ ხანებში 808-ე ქართული პოლკის მეთაური ვიყავ. გერმანელები ზუსტად, ყოველი დილის თერთმეტ საათზე და სალამოს ჩვიდმეტ საათზე, ნაღმებისა და ყუმბარების დაუზოგავად, ბომბავდნენ ჩვენს პოზიციებს. აუცილებლად საჭირო იყო მოენე, რათა გამოგვერკვია ზუსტი ადგილსამყოფელი მტრის საცეცხლე წერტებისა, რომლებიც მარუხის ჩრდილოეთით, უსახელო ქედზე იყო განლაგებული.

მე უკვე ვთქვი, რომ რუხაძის ბატალიონი ადრევე დაწინაურდა. სწორედ იმ ხანებში რუხაძეს ხალხი გაეგზავნა პოლკისათვის მოენის ასაყვანად... ეს ჩვენ არ ვიცოდით.

ორ სექტემბერს, დილით, იმ დროს, როცა მარუხის მწვერვალი ჯერ ისევ რძისფერი ნისლით იყო დაფარული, ჩემთან მეორე ბატალიონის უფროსი კაპიტანი ლადო თათარაშვილი შემოვიდა. გასული ღამის ამბების თხრობა ჯერ მოთავებულიც არ ჰქონდა, როცა კარავშივე მყოფმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა დოლიძემ ჯერ ნება აიღო ჩემგან მიემართა კაპიტანისათვის, შემდეგ იგი ტელეფონთან მიიხმო, მე კი განმიმარტა:

— ბაჭია რეკავს, რაღაც უცნაური მომხდარა მათს თავს...

ვიცოდი, ამ მეტსახელს ლეიტენანტ თიკარაძეს ეძახდნენ. არ მომეწონა ახალგაზრდა ჯარისკაცის ეს ძმაბიჭური ტონი და ვუთხარი:

— თიკარაძე თქვენთვის ლეიტენანტია და არა ბაჭია... ეს მუდამ უნდა გახსოდეთ...

ჯარისკაცი გაწითლდა, თავი ჩაღუნა.

ამასობაში თათარაშვილმა ლაპარაკი მოითავა და მართლაც უცნაური რამ გადმომცა: მარუხ-ბაშის ჩრდილო ფერდობიდან ცხრა გერმანელი ამოსულა, „ედელვაისის“ ალპინისტური ფორმა აცვიათ, მათ შორის ორი ოფიცერია.. თურმე ერთი მათგანი შორიდან იძახის:

„—არ მესროლოთ, ძმებო, მე ალიოშა ალფაიძე ვარ, პოლკის უფროსთან ტყვეები მომყავს.. ბაჭია, მე ვარ, ვეღარ მიცანი!“

ისევ ბაჭია! საიდან შეურჩიეს ეს მეტსახელი. ბაჭია კი არა, ვეფხვივით იბრძვის, ისეთი ვაჟკაცია, ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ ახლა აღარაფერს ვამბობ... ვხვდები, სიყვარულით ეძახიან ასე...

ლეიტენანტი თიკარაძე თურმე შეეჭვებულა და არის ერთი კამათი და გადაძახილ-გადმოძახილი.

— რა ვქნათ, ამხანაგო მაიორო? — მეკითხება თათარაშვილი.

— გადაეცით, რომ ახლავე გამოუშვან! — ვუთხარი ლადოს.

— თავის ფეხით მოსულან, უკან ხომ არ გავაბრუნებთ, — ჩაგვერია ლაპარაკში პოლკის კომისარი აშოტ არუთინიანი.

თათარაშვილი ისევ ტელეფონს მიუბრუნდა და თიკარაძეს აცნობა:

— მიეცი კარგი დაცვა და გამოატარე, შე მართლა, ბაჭია, შენა! მე პოლკის უფროსთან ვარ... ახლავე შენთან მოვდივარ...

— წადი, ლადო! — ვუთხარი მეც, — იქნებ პარლამენტიორები მოჰყავს იმ კაცს...

თათარაშვილი სწრაფად მივიდა ადგილზე და იმანაც ეჭვით შეხედა საქმეს. ალფაიძე კი იხვეწება— ტანსაცმელს ყურადღებას ნუ აქცევთ, სწორედ ამ მუნდირს უნდა ვუმადლოდე, რომ თქვენამდე მოვაღწიე, მიმიყვანეთ პოლკის უფროსთან და ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთო.

და აი, წამოიყვანეს ყველანი პოლკის შტაბში.

ჩვენ გარეთ ვუცდით. როგორც კი მოახლოვდნენ, არუთინიანი გაეშურა მათკენ, სახეგაბადრულმა მოხვია ხელი ალფაიძეს, წამოიყვანა ჩემსკენ და მეუბნება.

— შალვა ვასილის-ძევ, ეს ხომ ნამდვილად ალფაიძეა, ასეულის მეთაური.

— ვიცანი, აშოტ, ვიცანი, — ვეუბნები და თან ვათვალიერებ ჯარისკაცებს, ასე უცნაურად რომ არიან გამოწყობილნი. ვეუბნები ალფაიძეს:

— აგვიხსენი რას ნიშნავს ეს ბალ-მასკარადი?

— ამხანაგო პოლკის უფროსო! — მხედრულად გამოჭიმული ლაპარაკობს ალფაიძე, და თან თვალში ეშმაკური ნაპერწკლები უელავს — ამდენ გერმანელებში მარტო ორია „ნამდვილი არიელი“... დანარჩენები ჩვენი ვეფხვები არიან—კეზევაძე, მანაგაძე, კოდუა, ნებიერიძე, ჭაჭიაშვილი და ტურაბელიძე...

გვარების ხსენებაზე ყველანი საერთო ჯგუფიდან წინ წამოდგებოდნენ ხოლმე. მხოლოდ კეზევაძეს ორი გერმანელისათვის ქამრებში ჩაევლო ხელი და ახლოდან არ იშორებდა.

— ამხანაგო მაიორო! — განაგრძობდა ალფაიძე, — ნება მომეცით, ტანსაცმლის თაობაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენოთ. ჩვენი, მესამე ბატალიონი ყარა-ყაის მთაზე დგას და ყოველდღე იგერიებს მტრის შემოტევას... ასობით გადამთიელი გავისტუმრეთ საიქიოს. ბატალიონის მეთაურმა ვასილ რუხაძემ, როგორც კი შეიტყო, რომ მოენე გჭირდებათ, გადაწყვიტა მოერთმია თქვენთვის მოენე და ისიც უეჭველად ოფიცერი. გამომიძახა და მითხრა — შენ საფიჩხიელი ყალთაბანდი და ჩხუბისთავი ხარ, შენზე კარგად ამას ვერავინ გააკეთებსო, გონივრულად და სალსალამათად აიყვანე მოენე და ნუ დაიზარებ, პოლკის უფროსს შენვე მიჰგვარეო. — ალფაიძემ ჩაიცინა, — ვერ გავიგე, გამლანძღა თუ შემაქო. დავალება კი ჭკუაში დამიჯდა, განგებ არ ვიწყინე რუხაძის ნათქვამი და მაშინვე შევუდექი ფიქრს, როგორ მეგდო ხელთ მტრის ოფიცერი. გერმანელებს დღეში სამჯერ მოაქვთ იერიში იმ მთაზე, სადაც ჩვენ ვდგავართ. ისე მივეჩვიეთ ამ იერიშების მოგერიებას, ერთხელ რომ აღარ წამოვიდნენ — ძალიან მოვიწყენთ...

ალფაიძეს ისევ ეშმაკური ნაპერწკლები უელავენ თვალებში. ამ ჯოჯოხეთშიც კი ხუმრობს...

— ჰოდა, გუშინ პირველი იერიში დილის ცხრა საათზე დაიწყეს... ეს ჩვენი ბიჭები წინასწარ გაფრთხილებული და მომზადებული მყავდა. მტრის ქვემეხებმა და ნაღმსატყორცნებმა სროლა დაამთავრეს თუ არა, აიშალნენ გერმანელები. სამ ეშელო-



აშოტ არუთინიანი



ვასილ რუხაძე



ალექსანდრე ალფაიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა კეზევაძე

ნად წამოვიდნენ მათი მწკრივები იერიშზე. ბატალიონის მეთაურს ნაბრძანები ჰქონდა, ვიდრე არ განიშნებთ, ცეცხლი არავინ გახსნასო. ისინი კი მოდიან და მოდიან. როგორც კი მოახლოვდნენ იმ მანძილზე, რომ ოფიცრისა და ჯარისკაცის ერთი-მეორისაგან გარჩევა შეიძლებოდა, აი ეს ყმაწვილი — ოფიცერზე უჩვენა ალფაიძემ, — ძალიან მომეწონა და თქვენთვის მოსართმევად შევარჩიე. ავსტრიელია, ვილჰელმი ჰქვიან სახელად.

ტყვე ოფიცერი თავის სახელის გაგონებაზე შეინძრა და ჩემს პეტლიცებს დააკვირდა, უნდოდა გაეგო ვისთან მოიყვანეს. ალფაიძე კი განაგრძობდა:

— ერთი სიტყვით, მოდის ეს ვილჰელმი იერიშზე, „ფორვერტს“, „ფორვერტს“! — იძახის წამდაუწუმ, აჩქარებს ჯარისკაცებს, და როცა მოახლოვდა — „შტურმ!“ დაიძახა და თითონაც ნახტომისათვის მოემზადა. მეთაურის ნიშანზე მებრძოლებმა ჯერ ავტომატები დაუშინეს გერმანელებს და მერე ხიშტებით ეკვეთნენ. მოემზადა ეს ვილჰელმიც ნახტომისათვის. კეზევაძე გაფრთხილებული მყავდა და ცალი თვალით ჩემს ნიშანს ელოდებოდა. — ეცი, ბიჭო-მეთქი, ვუკივლე თუ არა, კეზევაძე ელვის სისწრაფით მოექცა ზურგზე პატივცემულ ვილჰელმს და ორივენი წაიქცნენ. წელან დამავიწყდა მეთქვა, გერმანელები იერიშზე რომ მოდიოდნენ, შევატყვე, ხუთი გერმანელი მარტო ვილჰელმს ეხვეოდა ირგვლივ, მას იცავდნენ. იმ ხუთიდან ორი ახლა უმალ მიეშველა წაქცეულ ოფიცერს, ჩვენებიდან ნებიერიძე და ჰაჰიაშვილი მიეშველნენ კეზევაძეს და ისეთი ზედახორა დადგა, აღარ გაირჩეოდა ვინ ზევით იყო და ვინ ქვევით. უმალ მივიჭერი მათთან... და ის იყო, ნებიერიძემ და ჰაჰიაშვილმა, ის ორი გერმანელი ჩამოაშორეს კეზევაძეს, მაგრამ ვხედავ წაქცეულ ვილჰელმს აი ეს დანა გაუშიშვლებია და უნდა, რომ კეზევაძეს მუცელში დაჰკრას...

ალფაიძემ ნაალაფარი დანა გვიჩვენა.

— გული გადამიტრიალდა. მოვასწარი, ჩავტაცე მაჯაში ხელი და გადავუგრიხე. კეზევაძემ ვილჰელმს თავი მიანება, ერთ კაცთან ორი ზედმეტი იყო, ტყვე მე დამითმო და თითონ იერიშში ჩაება. ბატონმა ვილჰელმმა კი ძალიან გამაკვირვა: დანა რომ დავაგდებინე ხელიდან, თვალებში შემომხედა, ჯერ რაღაც წაილუღლა და მერე გამიცინა. შემეშინდა, ეს ოხერ-ტიალი არ გადამერიოს, სანამ ადგილზე მივიყვან-მეთქი.

— რა ამბავში ყოფილხარ, კაცო!—უთხრა თათარაშვილმა,—რუხაძეს მართალი უთქვამს...

ალფაიძემ აღარაფერი უთხრა ამ გადაკრულ ნათქვამზე და განაგრძო:

— ვუფრთხილდები ამ ვილჰელმს, მეშინია ტყვია არ მოხვდეს... მოენეა და ისიც ოფიცერი, მოვიხედე, ჩემგან სამ მეტრზე ბატალიონის მეთაური რუხაძე დგას, ავტომატით ხელში, ჩვენს მოსაშველებლად მოსულა... ამასობაში, მტრის იერიში უკვე მოგერიებული იყო. ახლა ტყვეს მივუბრუნდით...

— ვილჰელმმა იქვე გაგვაცნო თავისი თავი, ავსტრიელი ვარო. უკვე მშვიდად ეჭირა თავი, მიხვდა, რომ ეს ნადირობა სწორედ მისი გულისათვის იყო მოწყობილი. რუხაძემ მიბრძანა, დაისვენეო და თითონ კი თქვენთან გამოსაგზავნი პატაკის წერას შეუდგა. ამასობაში ვისაუზმეთ კიდეც. ეს იყო სწორედ გუშინ საღამოს. წამოვედით და დღეს დილით უკვე კარგად გათენებული იყო, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან უღელტეხილს მოვადექით. დაბლიდან, ქედზე ამოსასვლელ გზას რომ ვეძებდით, შევამჩნიე, რომ ჩვენს მაღლა ექვსი გერმანელი ჯარისკაცი რაღაცას ცოდვილობდა. ეტყობოდა, მზვერავები იყვნენ, არც შევმცდარვარ. გადავწყვიტე ერთი მაინც წამომეყვანა, რომელიც ვილჰელმის ნათქვამის სისწორეს შეამოწმებდა.

— ყველაფერი გაგითვალისწინებია-მეთქი — ვუთხარი.

— მაშ როგორ! გავუზიარე ამ ბიჭებს ჩემი აზრი, მომიწონეს... ვინ რომელს უნდა დავტაკებოდით, შორიდანვე შევარჩიეთ. თამამად უნდა მივსულიყავით მათთან, ვითომ ჩვენც გერმანელები ვიყავით და უხმაუროდ უნდა გვემოქმედნა, მარტო ავტომატის კონდახებით. სროლა რომ დაგვეწყო, თიკარაძე გაიგონებდა, და ვიდრე გაარკვევდა რამეს, აქედან დაგვიწყებდა სროლას და ყველას გაგვწყვეტდნენ, ვილჰელმი კეზევაძეს ჩავაბარე, თანაც ვილჰელმს დავავალე, თუ ლაპარაკი დაგვჭირდებოდა, მას უნდა ეკისრა, თანაც რევოლვერი ვაჩვენე. ამოიკვნესა და თავი დამიქნია—ყაბულსა ვარო. ვილჰელმი კეზევაძეს ძალიან დაუძმაკაცდა, ისიც კი გვითხრა—აი ეს ამოარჩიეთ წამოსაყვანადო—და ალფაიძემ მეორე გერმანელზე მიგვითითა.

— ამას პაული ჰქვია სახელად, გვარი კი ვეღარ დავიხსომე—განაგრძო ალფაიძემ. — ერთი საკვირველი ამბავი კიდევ მოხდა, ამ ძიძგილსა და შეხლა-შემოხლაში რომ ვართ, პაული მგონი მიხვდა რაღაცას, ეგებ იცნო კიდეც და ამ შენს ვილჰელმს ავტომატის კონდახი მოუქნია დასარტყმელად, ოფიცერმა აიცდინა, მას კეზევაძე მიეხმარა და პაულის ისე მაგრად უთავაზა კეფაში, რომ კლდეზე გადაიჩეხებოდა, ისევ ვილჰელმს რომ არ გადაერჩინა.

ალფაიძემ ისე შეათვალიერა ორივენი, თითქოს ახლაც იმ ამოცანის გადაწყვეტას ლამობსო.

ამ ბრძოლასა და ვაი-ვაგლახში რომ ვართ, ხმაურზე და ქვების ხრიალზე პირველად ლეიტენანტი თიკარაძე გადმოდგა ქედზე... ვიცანი და ქართულად დავუძახე:

— ბაჭიავ, მე ვარ, არ გვესროლო-მეთქი...

ერთი სიტყვით, ამხანაგო მაიორო, ორი კაცი მოგიყვანეთ, თუ სასარგებლო რამე თქვეს, ხომ კარგი, თუ არა და, სხვას მოგართმევთ!

თათარაშვილმა გაიცინა და ალფაიძეს უთხრა:

— კაცო, დაბმულები გყავს ეს გერმანელები თუ რაშია საქმე... ასე ადვილია, კიდევ მოგართმევთო, რომ იძახი!

— ეგ მე ვიცი!—ჩაილაპარაკა ალფაიძემ.

მებრძოლებს მადლობა გადავუხადე. ახლა ტყვეების დაკითხვა იყო საჭირო. მაგრამ თარჯიმანი მხოლოდ პოლკოვნიკ აბრამოვს ჰყავდა, ის კი შორს იყო. ბედზე ვილჰელმი გაჭირვებით ამტვრევდა რუსულს, თანაც უმალ მიხვდა, თუ რა ცნობები გვჭირდებოდა ჩვენ.

ბოლა, მოხსნა გუდას პირი ვილჰელმმა და რაც იცოდა, ყველაფერი გადმოალაგა. ვილჰელმი ტიროლელი ავსტრიელი იყო; ტიროლელები, საერთოდ მოწოდებით ალპინისტები არიან, მთები მათთვის — მშობლიური სტიქიაა. აქაც ისინი სათანადოდ შეჭურვილნი ჩამოიყვანეს, ჰქონდათ ყველაფერი—დაწყებული მსუბუქი ქვემეხებიდან ალპენშტოკებამდე, კომპასები, საძილე ტომრები, რუკები და კიდევ რა ვიცი რა არა!..

— გენერალი ლანცი ძალიან ტლანქი და უხეში კაცია, — ჰყვებოდა ვილჰელმი — ჩვენზე ადრე ამ უღელტეხილს ჯერ იტალიელები მოაყარა, ისინი სულ გაწყდნენ, ახლა ჩვენ, ავსტრიელები გამოგვგზავნა... აურიცხელი ხალხი დავკარგეთ და ეს ტიალი ყარა-ყაი ვერ ავიღეთ... ლანცი გვპირდებოდა, ოღონდ ამ უღელტეხილს გააღწიეთ, გადავალთ სოხუმში და იქ რამდენიც გინდათ, იმდენია ყველაზე გემრიელი ხილი, ყველაზე საუკეთესო ღვინო და ულამაზესი ქალები... ყველაფერი თქვენ დაგრჩებათო... ახლა კი, ხედავთ რა შემრჩა... თქვენი ტყვე ვარ!—თქვა ვილჰელმმა და ცრემლები გადმოყარა.

—ძალიან აუჩუყდა გული!—დაცინვით ჩაილაპარაკა აშოტმა.

შემდეგ ოფიცერმა დაწვრილებით ჩამოგვითვალა თავიანთი საცეცხლე წერტები და აგვიხსნა სად რომელი იყო განლაგებული.

—ახლა პაული მოიყვანე, ვნახოთ ის რაღას იტყვის!

მოიყვანეს პაული, ის ისევ ჩაცუცქდა, ვილჰელმს ეს არ მოეწონა, მუხლი გაჰკრა და წყრომით უთხრა—ახლავე ადექი, შენთვის დაჯდომის ნება არ მოუციათო!

ამან ისევ სიცილი გამოიწვია.

პაული დარცხვენილი წამოდგა და ბოლოში მოიხადა. აღმოჩნდა, რომ რუსული ენა მან ვილჰელმზე გაცილებით უკეთესად იცოდა, თავისუფლად ლაპარაკობდა. თურმე სკოლაში ასწავლიდნენ, როგორც მოსალოდნელი მოწინააღმდეგის ენას.

პაულმა მთლიანად დაადასტურა ვილჰელმის ჩვენება, გარდა ამისა, მას ისიც დაუმატა, რომ უღელტეხილის ჩრდილოეთით, უსახელო ქედის გადაღმა გუშინ მოიტანეს ექვსლულიანი ნაღმსატყორცნები და აურიცხელი ნაღმები...

(გაგრძელება იქნება)



# პოეტის ერთი დღე

ფოტო ო. თურქიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა გაზაფხულის დილა, თბილი და საამო.
იწყება დღე... პოეტი მაგიდას მიუჯდა, საბოლოოდ არჩევს ლექსებს ახალი კრებულისათვის... მკითხველები მალე იხილავენ სიმონ ჩიქოვანის ნაწარმოებების მეორე ტომს.

სიმონ ჩიქოვანი

## თბილისის მთები

მელანდება აქოჩრილი მთები,
შინ შემოვლენ, დამინჯღრევენ კიბეს.
ამაფრენენ ცაზე გუმბათები.
ვარსკვლავებით ამივსებენ ჯიბეს.

მთები გვანან შეყვითლებულ ზვინებს,
ხან დაჩეხილ, მობრჭყვიალე ზუჩებს,
მთებზე ფიქრი მე არ დამაძინებს,
ღამეს ვტეხ და ვეჯიბრები ქუჩებს.

მთებში რბენა და ჯახირი მიყვარს,
მთა ჩრდილს მაფენს, როგორც ძიძა მივლის,
მთები ქსოვენ ცისარტყელის ჯილას
და მხარბეჭით ამაღლებენ თბილისს.

რად ფხიზლობენ, რად გაუტყდათ ძილი,
მიგალობენ თუ მიმღერენ ნანას,
ჩემს სარკმელში იჭრებიან დილით,
მოდიან და ერთ ადგილზე დგანან.

არ სჭირდებათ მეგზური და კვერთხი,
არც ბილიკი, არც შარაგზა ფართო,
და თუ წავლენ, მეც გავყვები ერთი,
ვერ დავრჩები მტკვრის ნაპირზე მარტო.

როგორ დავრჩე, არ შემრჩება ჩერო,
როგორ მივწვდე ამ საწუთროს ჭერხოს,
მტკვრის ხმაური როგორ დავიჯერო,
თუ ხეობა არ გამოსცემს ეხოს?!



შუადღისას პოეტის ბინაზე სხვა სურათს წააწყდებით. არ წყდება ტელეფონის ზარის წკრიალი, იწყება სტუმრიანობაც... პოეტი მაშინ სტოვებს საწერ მაგიდას. დღეს სასურველი სტუმრები ეწვივნენ სიმონს: ყრმობის მეგობარი ნიკოლოზ ჩაჩავა და კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი. დიასახლისი გულგაშლილად ხვდება სტუმრებს. ოთარ თაქთაქიშვილმა დიდი ხანი არ არის სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლზე შექმნა ორატორია „კერა“. კომპოზიტორს სურს მოასმენინოს პოეტს ეს ნაწარმოები.



და აი, პოეტი ისმენს ორატორიას... ოთახში ილვრება მუსიკის მომაჯადოებელი ჰანგები, სრულდება „ნაკადული" და თითქოს მართლა გალობს ნაკადული. პოეტი დაძაბული უსმენს გუნდს და მის თვალწინ ცოცხლდება მამაცი ჯარისკაცი ლეშკაშელი — პოეტი ხომ იქ იყო მაშინ, ჩრდილო კავკასიაში, ფრონტზე, ქართველ მეომრებთან. ახლა იგი, მუსიკასა და ფიქრს ისევ გადაჰყავს ბრძოლის ველზე: „ბაქსანის ნაპირზე მეც სული მივაგდე, ველზე დალეწილი იწვა ლეშკაშელი... წყალი მოითხოვა, პეშვით მოვუტანე, არ დამხვდა ცოცხალი, სული დალეოდა... ველარ მოვუსწარი, ველარ ვანეტარე, მოკვდა ლეშკაშელი, აღარ დამელოდა... თურმე ძმა მყოლია და იგი მომიკლეს, როგორ მეცნაურა სიკვდილის წუთებიც... მთის ერთი მუდიდან მოვედით ორივე, მამულის სიცოცხლეს ღამეებს ვუთევდით".



მზე გადავიდა, მოსაღამოვდა, სტუმრები მიდიან. პოეტი ჯდება სავარძელში და ისევ ფიქრებში იძირება. მისი ფიქრი — ლექსია. გარეთ მშვენიერი გაზაფხულია ახლა... ია მოსულა.

# ამბავი ლექსის სტრიქონის

ვისაც უყვარს პოეზია, ვინც კარგად იცის იგი და ხშირად კითხულობს ან ისმენს ლექსებს, მისთვის უთუოდ ნაცნობია ასეთი რამ: ვთქვათ, რაღაც საქმე გაქვს, გართული ხარ ამ საქმით, ჩაფიქრებული, და უცებ საკუთარ თავს ამჩნევ, რომ თურმე თავისდაუნებურად იმეორებ რომელიღაც ცნობილი ლექსის სტრიქონებს, სწორედ ისევე როგორც ზოგჯერ შენიშნავ, რომ უსტვენ ანდა ღიღინებ ამა თუ იმ „აკვიატებულ" სიმღერის მელოდიას; და იგი დიდხანს, ძალიან დიდხანს აღარ გცილდება.

...ორნახევარი წლის წინათ, საბჭოთა მწერლების იმ დელეგაციაში შევდიოდი, რომელმაც პოლონეთში იმოგზაურა.

მე და სიმონ ჩიქოვანი ვსეირნობდით ვარშავის ქუჩებში.

სიმონ ჩიქოვანი ბრწყინვალე პოეტია, ერთ-ერთი ყველაზე თავისებური, მგრძნობიარე ლირიკოსი; მთელი მისი არსება გამსჭვალულია პოეზიით, ის დიდი კულტურის ადამიანია, ფართოდ განათლებული.

გაზაფხული იყო, ირგვლივ ყველაფერი ჰყვაოდა.

ჩვენ დავდიოდით ვარშავის ქუჩებზე და ვსაუბრობდით მიცკევიჩზე და ტუვიმზე, ბარათაშვილზე და ტაბიძეზე, ახალგაზრდა მოსკოველ პოეტებზე, ფრანგ იმპრესიონისტებზე; ჩვენ ვლაპარაკობდით ყოველივე ამაზე და გვიხაროდა, რომ ჩვენი შეხედულებები და გემოვნება ემთხვეოდა ერთმანეთს. და კიდევ, ჩვენ გაზაფხულზე ვლაპარაკობდით, პოლონელ ქალიშვილებზე, აყვავებულ წაბლებზე; მერე ჩვენ ვისხედით პარკში, შოპენის ძეგლთან და სიმონ ჩიქოვანმა ხმადაბლა, თითქმის თავისთვის რაღაცა სთქვა. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო რომელიღაც ლექსის სტრიქონი.

მე, რასაკვირველია, მორიდების გამო წავუყრუე, ვითომ არაფერი გამეგონოს. ჩვენ ვდუმდით, ჩაფიქრებულები. სიმონმა ისევ გაიმეორა სტრიქონი; თითქოს ახლაც მესმის იგი. მან ის ფრაზა ისევ წარმოსთქვა და მკითხა ხმამაღლა:

— გახსოვთ თქვენ Вплывает как больной орел?

მე კარგად არ მახსოვდა, საიდან იყო ეს. მან სცადა გაეხსენებინა ჩემთვის და წინა სტრიქონიც დაიხმარა, რომ უფრო ადვილად მივეხვედრებინე:

Шопена траурная фраза
Вплывает как больной орел...

და მე უცებ გამახსენდა.

ჩვენ ისევ გავყევით საუბარს ათას რამეზე, დროდადრო სიმონი ამ სტრიქონს იმეორებდა, მხოლოდ მეორეს. პირველი უკვე იგულისხმებოდა.

თანდათან ეს მეც გადმომედო... და ახლა მარტო ის კი არა, მეც ჩურჩულით წარმოვთქვამდი ამ სიტყვებს:

Вплывает как больной орел...

თან რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი, თითქო ვიღაცისთვის სტრიქონი მომეპაროს, მაგრამ ეს პლაგიატი სავსებით უწყინარი იყო.

მერე ჩვენ რომელიღაც სტუდენტურ ლუდხანაში ვისადილეთ. შემდეგ დავბრუნდით სასტუმროში და სიმონ ჩიქოვანი წავიდა დასასვენებლად.

საღამოთი მე ისევ გამოვედი ქუჩაში სახეტიალოდ, ამჯერად ლიტველ პროზაიკოს მიკოლას სლუცკისთან ერთად. ჩვენ ვსაუბრობდით ლიტვაზე და პოლონეთზე, ომზე, რუსულ პროზაზე და ისევ გაზაფხულზე, ქალიშვილებზე, აყვავებულ წაბლებზე და ახლა უფრო ხშირ-ხშირად ვჩურჩულებდი:

Вплывает как больной орел...

წინა სტრიქონი თავისთავად იგულისხმებოდა.

სლუცკისი შეგნებულად, თითქო ჯინაზე არ აქცევდა ამას ყურადღებას. საღამოს ამ სტრიქონმა გამომაღვიძა სასტუმროში. მე ვუყურებდი როგორ ირხეოდნენ კედელზე ცისფერი და ვარდისფერი ჩრდილები და იმ სტრიქონზე ვფიქრობდი.

ბორის პასტერნაკს მრავალი ლექსი აქვს მუსიკაზე დაწერილი, ბევრჯერ აქვს ნახსენები შოპენი, აქ შესაძლოა ყველაზე ძლიერად. მას ბევრი ლექსი აქვს კავკასიაზე, ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ ეს სახე მაშინ ჩემთვის როგორღაც თითქოს პირობითი იყო, შესაძლოა მიახლოებითიც. ოდნავ ხელოვნურიც კი. არწივი? მაგრამ ლექსის მოქმედება ხომ კიევში მიმდინარეობს? („უძრავი მდუმარე დნეპრი, ღამის პოდოლი"); შესაძლოა არწივზეა ლაპარაკი პოლონეთის სახელმწიფო ღერბიდან; იქნება ადრინდელ პოლონეთზეა ლაპარაკი? არა მგონია.

მე ჩემთვის ვფიქრობდი ყოველივე ამაზე და უცებ ვარშავის სასტუმროს წყვდიადში დავინახე და გავიგონე როგორ წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს სიმონ ჩიქოვანი. თქმა იმისა, რომ ჩიქოვანი იცნობს კავკასიას, რომ კავკასია ძვირფასია და ახლობელი მისთვის — ეს იმას უდრის, რომ არაფერი სთქვა. კავკასია და ჩიქოვანი ერთიდაიგივე, ყოველშემთხვევაში, ერთი მთლიანობაა. და მე წარმოვიდგინე ნათლად და გარკვევით, როგორც ეს ღამით, უძილობისას ხდება:

სადღაც, ლაჟვარდის სიღრმეში — მზე, სინათლე, თვალისმომჭრელი თოვლიანი მწვერვალები და მათ ფონზე ქვევით, მაგრამ მაინც მაღლა, ხეობაზე გადმოკიდებული პირქუში კლდეები და ავადმყოფი არწივი, ძლიერი, ლაღი, თავისუფლებისმოყვარე, მაგრამ ავადმყოფი, დადარდიანებული ფრინველი.

მე მივხვდი, რომ ჩიქოვანისათვის ავადმყოფი არწივი არის ტრაგიკული სურათი, ეს არის ნამდვილად ავადმყოფი არწივი და არა განყენებული რაღაც, არა უბრალო ლექსი მუსიკაზე.

ჩიქოვანი განიცდიდა ამას უფრო პირდაპირ, უფრო მძაფრად, ვიდრე მე, მაგრამ მასთან ერთად მეც ხომ განვიცადე ეს უფრო ძლიერ, რადგანაც ამისი მაგალითი თითონ ჩიქოვანმა მომცა.

აი, რამდენი რამ შეიძლება იმალებოდეს ლექსის ერთადერთ სტრიქონში.

**კონსტანტინე ვანშენკინი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუძღვნი სამამულო ომში დაღუპული და-ძმის — თინა და ლავრენტი იოსებიძეების ხსოვნას.

# მამა

**აკაკი გენაძე** მოთხრობა მხატვარი დ. ერისთავი

გამოჩნდა გზაჯვარედინი.

— აქ ხომ არავინ ჩამოდის?—იკითხა შოფერმა.

— გააჩერე! — წამოდგა გოდერძი, შოფერს ფული მისცა, ავტობუსში დარჩენილ ხალხს ბედნიერი მგზავრობა უსურვა, კარი თვითონ გააღო და ჩამოხტა.

მანქანა გზატკეცილს გაედევნა და მოსახვევში თვალს მიეფარა.

გოდერძიმ სალიეთისკენ მიმავალ გზას გახედა. მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო.

„კარგია რომ არავინ ამემგზავრა".

გოდერძის ახლა სულ მარტო უნდა ამ გზის გავლა. პატარა, სპორტული ჩემოდანი მარჯვენა ხელში დაიჭირა, პიჯაკი მარცხენა მკლავზე გადაიგდო და ფერდობზე მიმავალ გზას დაადგა.

გოდერძი რომ ერთი წლისა იყო, მამამისი ლევანი თბილისში სწავლობდა—სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ამთავრებდა. თბილისიდან მანქანას მოჰყვებოდა ამ გზაჯვარედინამდე, მერე შინ ფეხით მიდიოდა. მაშინ ფერდობზე მხოლოდ საურმე გზა იყო გაჭრილი. წელს გოდერძი ამთავრებს იმავე ინსტიტუტს. მამასავით აგრონომი იქნება ისიც, მევენახე აგრონომი. ჰოდა, ახლა მამის ძველ ნაკვალევს მიჰყვება.

ამ გზაზე დადიოდა თურმე გოდერძის მამიდა მარიკაც. ზოგჯერ ისიც მარტო. რაიონიდან მომავალი შებინდებისას აალერდა თავს და ჰერი! არაფრის არ ეშინოდა, არც უმთვარო ღამის, არც ტყეში თვალგაცეცხლებული მგლის შემოფეთების. იმ დროს სალიეთისკენ მიმავალი მგზავრი იშვიათი იყო. ღამით ტყიანი ქედის გადავლას ერიდებოდნენ. ავტომანქანა ხომ იმ გზისთვის სულ უცხო ხილი იყო.

ავტომანქანის სალიეთში გამოჩენა გოდერძის დღევანდელ დღესავით ახსოვს, მამა კი, მამა, არ აგონდება, არც მამიდა... ერთი იცის მხოლოდ: ისინი ამ გზაზე დადიოდნენ, დადიოდნენ უშიშრად, დადიოდნენ და ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ სულ სასიკეთო ამბებს.

ამ გზაზე ოცდაორი წლის წინათ გოდერძის მამა დადიოდა, ახლა გოდერძი დადის, მერე გოდერძის შვილმა უნდა იაროს, ჰო, უნდა იაროს... დღეს ამიტომ უფრო მიდის გოდერძი შინ, ამბავი უნდა გაიგოს.

„იქნებ უკვე დაიბადა ბიჭი? ჰო, მე ბიჭი მინდა, ნათელას—გოგო... მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სულ ერთი არ არის? ორივე სიცოცხლეს არ ემატება? მთავარია მშვიდობა დამხვდეს ოჯახში, ნათელა იყოს კარგად და..."

გზას მგზავრი და ფიქრი უყვარს. გოდერძიც ფიქრით მიჰყვება გზას, მიჰყვება მარტო... თუმცა ამას სიმარტოვე არ ეთქმის. გოდერძი და ფიქრი აემგზავრნენ ერთმანეთს, ფიქრს კი ლევანი აემგზავრა... სამნი მიდიან! ფიქრი, გოდერძი და ლევანი.

ფიქრი დროჟამს არ ემორჩილება, ფიქრი უკან აბრუნებს ადამიანს, ზოგჯერაც წინ მიარბენინებს. ახლა კი ფიქრმა უკან დააბრუნა გოდერძი.

ზაფხულია, ცხელა. დედამ გოდერძის აკვანი აივანზე გამოიტანა და გადაარწია. გოდერძი უკვე ერთი წლისაა. თვალები დაუჭყეტია. არ ეძინება. ხან ეზოში მდგარ უშველებელ კაკლის ხეს აკვირდება, ხან—აივნის ჭერს. მკლავი გაითავისუფლა არტახიდან. აკვნის სახელურზე დაკონწიალებულ ნაირნაირ მძივებსა და ლინჭილოებს ხან გაჰკრავს გაფარჩხულ ხელს, ხან აქეთ გამოჰკრავს. თან იცინის. გოდერძის დედამ კატომ მეზობლების უჩვეული ზრიალი გაიგონა, კიბე ჩაირბინა, კაკლით დაჩრდილული ეზო გადაჭრა, ჭიშკარში ჩადგა და იკითხა, რა ამბავიაო. საშინელი რამ გაიგო—ომი დაიწყოო.

ლევანი მეორე დღესვე გაიწვიეს ჯარში. მამამ გოდერძი აკვნიდან ამოიყვანა, გულში ჩაიხუტა და ჭიშკრიდან სადგურამდე გზა ისე გაიარა, კრინტი არ დაუძრავს. გამოუთქმელი კაცია ლევანი.

მარიკამ სწორედ იმ წელიწადს დაამთავრა საექთანო სასწავლებელი და ისიც მალე წავიდა ფრონტზე.

გოდერძის არ გაუცილებია მამიდა. იმ დღეს აკვანში გუნებიერად იწვა და აივნის ჭერს გალიმებული შესცქეროდა.

გათავდა ომი. ბევრს დაუბრუნდა მამა. ზოგს სალსალამათი, ზოგს—ხისფეხიანი, ზოგს — ცალხელი.... ერთს — ჩინიანი, მეორეს—უჩინო, გოდერძის კი...

ყველაზე ბედნიერი ნოდარი გამოდგა, გოდერძის ტოლი ბიჭი. ნოდარის მამას, ელიზბარს გულმკერდი ორდენებით აქვს სავსე, ქუდიც სხვანაირი ხურავს, მუზარადსა ჰგავს, ოღონდ რკინისა არ არის.

ელიზბარის დაბრუნებისას მთელი უბნის ბიჭები ნოდარის ეზოში მოგროვდნენ. უცნაურქუდიან ძიას ცნობისმოყვარეობით აკვირდებიან. ნოდარმა მამას ქუდი გამოართვა და თვითონ დაიხურა. თვალებზე ჩამოეფხატა.

— მეც დამახურე!—სთხოვა გოდერძიმ. ქუდში დაემალა ლაწვები და მაშინვე მოიხადა.

ელიზბარი დააკვირდა:

— რა გქვია, ყმაწვილო?

— გოდერძი.

— ლევანის ბიჭი ხარ?

— ჰო.

— ღმერთო ჩემო, მამის ხატია პირწმინდად!—წამოიძახა ელიზბარმა. ჩაფიქრდა, უცებ მოიღუშა და თავი გადააქნია.

მეორე დღეს ელიზბარმა თავის შვილსა და გოდერძის ქალაქიდან ერთნაირი ჩანთები ამოუტანა—შავად გაპრიალებული. ელიზბარი ნოდარისა და გოდერძის მერეც არ არჩევს ერთმანეთისაგან. შოფრად მუშაობს და დაბიდან სალიეთში რომ ამოვა, ორივე ბიჭისთვის ერთნაირი საჩუქრები მოაქვს.

— დედი, ელიზბარ ძია რა არის ჩემი?—იკითხა გოდერძიმ.

—შენი არაფერი, შვილო, მამაშენი და ძია ელიზბარი ძმადნაფიცები იყვნენ. იცი, ძმადნაფიცი რა არის?

— ვიცი. მე და ნოდარიც ძმადნაფიცები ვართ.

ფიქრი მთვარიან გზას მიჰყვება.

გაიზარდა გოდერძი და დედამ მამისეული სამართებელი გამოუჩინა. პირველად გოდერძიმ იმ სამართებლით მოიპარსა პირი, ყბებზე გაჩენილი ღინღლი მოიცილა. ნოდარიმ და გოდერძიმ ცოტა კი არ იცინეს იმ დღეს.

პირგაპარსული გოდერძი ამაყად დააბიჯებს. ვინც შეხვდება, ყველა ეუბნება, მამას ჰგავხარო, მერე ჰყვებიან და ჰყვებიან ლევანის ამბებს: სიტყვაძვირი და შუბლშეკრული კაცი იყო, მაგრამ ძალიან გამრჯე და ადამიანის მოყვარულიო.

ერთხელ სიზმარშიც ნახა მამა—დასეტყვილ ვენახს დასტიროდა.

გოდერძი, ფიქრი და მამა სამი განუყრელი მგზავრივით მიჰყვებიან გზას.

... ოჯახში ლევანის ამბავი დანამდვილებით არავინ იცის. ჰოდა, ელოდებიან ლევანსაც და მარიკასაც... ომში დაკარგულ და-ძმას.

გოდერძიმ საშუალო სკოლა დაამთავრა, ერთ წელიწადს სოფელში იმუშავა და იმავე ინსტიტუტის იმავე ფაკულტეტზე შევიდა, მამამისი რომ სწავლობდა. როცა თბილისიდან მატარებლით მგზავრობს, ჩამოდის იმ სადგურზე, მამა ომში რომ გააცილა. აქ გაიყარა მამა-შვილის გზა დიდი ხნის წინათ და სადღაც აქ კვლავ ერთდება. ახლა თითქოს გოდერძის კი არა, ლევანს მიეჩქარება თბილისიდან სალიეთში. მართალია, ახლა ეს გზა ფართო და უკეთესია, მაინც იმ ძველ ნაგზაურს მიჰყვება.

ეჰ, მამა კი უნახავს გოდერძის, მაგრამ მაშინ მახსოვრობა სად ჰქონდა? ეუბნებიან მამის ხატი ხარო და ისიც გულმოდგინედ ეძებს ამ მსგავსებას.

ზოგჯერ გოდერძი სარკეში რომ ჩაიხედავს, ეჩვენება, ჩემი ორეული კი არა, მამა შემომცქერისო... მთლად მე მგავს თვალტანადობითო.

გარბის წუთისოფელი. თხუთმეტი წელიწადია ომი დამთავრდა. ეკა ბებია მაინც ელოდება ომში დაკარგულ ორ შვილს. დედის გული სიკვდილამდე ელოდება შორს წასულ შვილს. ვისაც თავისიანის ცხედარი თავისი თვალით არ უნახავს, გულის ძირში იმედი უდევს: იქნებ ცოცხალია სადმეო.

გოდერძი პაპა კარგა ხანია გულჩათხრობილი დადის, მაშინ თუ გაიღიმებს, შვილიშვილს როცა ეფერება. ომში წასულებს მხოლოდ ღვინის დალევისას იგონებს, სუფრაზე, იგონებს ისე, თითქოს ეშინია მათი ხსენებაო.

გოდერძი ორჭოფობს. მამას და მამიდას ხან ელოდება, ხან—არა. უფრო არ ელოდება. ჰოდა, ბოლო დროს იმიტომ აღარ იყურება სარკეში... თავის მსგავს მამას რომ წარმოიდგენს, აურუოლებს... სიხარული პატარაა, შიში დიდი... რისი ეშინია?

ერთ დღეს გაშალა გაზეთი და მამიდა მარიკას ამბავი წაიკითხა. ომის მიწურულში გმირულად დაიღუპაო. მარიკას ამბავს ლევანის ამბავიც მოჰყვა, ჩვიდმეტი წლის წინანდელი ამბავი: ასმეთაურმა ლევან როინიშვილმა სანინსტრუქტორის ხელში დალია სულიო.

თურმე შვილების დაღუპვის ამბავი გოდერძი პაპას დიდი ხანია სცოდნია. არავის უმხელდა. ეკა ბებიასთვის კიდეც რომ ეთქვა, დაუჯერებდა? დედა ყოველთვის ელოდება ომში წასულ შვილს. ჰოდა, ავ ამბავს გულში ინახავდა ბერიკაცი... მარტო დარდობდა, მარტო კვნესოდა. ეს ახლაღა გაიგეს, როცა და-ძმა როინიშვილების ამბავი ქვეყანას მოედო.

კატო აქამდე სკივრში ინახავდა ლევანის ჩექმებს—აზიურებს. ახლა ამოიღო და შვილს მისცა, იხმარეო. აქამდე გოდერძისთვის ინახავდა თუ

იმედი ჰქონდა—პატრონი დაუბრუნდებაო?

ამბობენ: ჭირს ქალი უფრო უძლებს, ვიდრე მამაკაციო. მართალი უნდა იყოს. გოდერძი პაპამ მალე დალია სული, ეკა ბებია კი ისევ უყურებს მზეს. ახლაც არ უნდა შვილების დალუპვა დაინამდვილოს. ოღონდ, ბოლო დროს, ღამ-ღამობით კვნესას მოუხშირა. სიზმარში შვილებს ეძახის ხოლმე.

ფიქრი გზაზე მიჰყვება. ფიქრს მისდევს კრუალების ხმა.

— გოდერძი, მამაშენისა და მამიდაშენის ამბავზე პიესა დაუწერიათ. ჩვენი დაბის თეატრში დგამენ,—უთხრა ნათელამ.

— მართლა?!

— აფიშაა გამოკრული.

გოდერძიმ ეს ახალი ამბავი შინ მიიტანა. ლოგინად ჩავარდნილმა ეკა ბებიამ ამოიხვნეშა და თავი საბანში ჩარგო. დედამ შუბლი შეიკრა, შვილს თვალი მოარიდა და ისე უთხრა:

— მე ვერ დავესწრები, არ შემიძლია...

გოდერძის ეს ამბავი გაეხარდა კიდეც. რატომღაც წარმოდგენაზე წასვლა პირველად მარტო უნდოდა, სულ მარტო. ჰოდა, ისე წავიდა, შინ არაფერი დაიბარა.

— თქვენი ბილეთი, ჭაბუკო?—ჰკითხა თეატრის კარისკაცმა.

„რა? ჰო, მართლა!.. რა უცნაურია, მამის სანახავად ბილეთი უნდა ავიღო...“—უმალვე სალაროსკენ შეტრიალდა.

ცოტა ხნის შემდეგ ხალხით გაჭედილ დარბაზში, შევიდა.

ფარდას სამკუთხა ბარათი ახატია.

დაიწყო წარმოდგენა. ეკა ფრონტიდან მიღებულ სამკუთხა ბარათებს კითხულობს და გაცოცხლდა ლევანისა და მარიკას ამბავი.

უცნაური გოგოა მამიდა მარიკა. სალიეთის წყაროსთან თანატოლ გოგოებს შეყრის ხოლმე და არსენასავით გზის პირას სუფრას შლის. გოგოები აქ ათას რამეზე ოცნებობენ. აგერ, მარიკა მშიშარა ბიჭს ლობესთან ჩაუსაფრდა და ყეფა აუტეხა ძაღლივით. მშიშარა ბიჭი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

იცინის დარბაზი, მშიშარას დასცინის მარიკასთან ერთად.

მარიკა დაეწია მშიშარა ბიჭს და თავისი თავსაფარი მოახვია თავზე: ქალაჩუნა ხარო.

ისევ იფეთქა სიცილმა დარბაზში.

გოდერძი არ იცინის რატომღაც, კრიჭაშეკრული უყურებს ყველაფერს.

მარიკამ მხიარული ხასიათი ტყვიის წვიმაშიც შეინარჩუნა. ფრონტზე „სულიკოს“ მღერის.

არა, არც ლევანი ყოფილა გოროზი კაცი. წარბგახსნილი დადის სანგრებში და ყველა ჯარისკაცს გულთბილად ეპყრობა. ალბათ მოჩვენებითი იყო ლევანის გულგოროზობა და შუბლშეკრულობა.

„აკი დედაც ამბობს, შინაურობაში ძალიან გულისხმიერი და ფაქიზი იყოო. ერთი უხეში სიტყვა არ წამოსცდებოდაო“.—ფიქრობს გოდერძი და... თვალდაუხამხამებლად მისჩერებია მამას.

ჩინებული მეთაურია ლევანი, ყველას უყვარს. უხარია შვილს. ოღონდ ერთი რამ სწყინს: მამამისმა ერთხელაც არ ახსენა ვენახი და ყანა. ის ხომ ფარაჯაგადაცმული აგრონომი იყო და... ნუთუ ერთხელ მაინც არ მოაგონდა სალიეთი?

ფრონტზე მოხვედრილი მარიკა ხედავს: ასმეთაური მისი ლვიძლი ძმაა. ერთმანეთთან გასაუბრებაც ვერ მოასწრეს, მწვავე ბრძოლა ატყდა და სასიკვდილოდ დაჭრილი ძმა ხელიდან გამოეცალა დას.

მომაკვდავი ლევანი მარიკას ანდერძივით უბარებს: ჩემს პატარა გოდერძის კარგად მოუარეთო.

დარბაზი აქვითინდა. ერთმა ხმამაღლაც კი წამოტირა. დარბაზში, ეტყობა, ბევრი ზის ლევანის ნაცნობი, გოდერძისაც ბევრი იცნობს და... მოსთქვამს ხალხი. თითქოს სცენაზე ახლობელი ადამიანი ასვენია და მთელი დარბაზი ჭირისუფლობს. ტირიან ფრონტზე დაცემულ ვაჟკაცს და ეცოდებათ დაობლებული პატარა ბიჭი. ჰო, ეს სალიეთელი ხალხი ტირის, ალბათ სხვაც. გოდერძის კი ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია. ამ წუთში მამის სიკვდილი კი არა, რაღაც სხვა დაინახა და გაკერპდა.

ახლა საბოლოოდ ირწმუნა — ჭეშმარიტად მამას ვგვანებივარო. ყაზარიასთან გადაღებულ თავის სურათს იგონებს, ლევანის თვალტანადობას უდარებს და ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია.

წარმოდგენა დამთავრდა. გოდერძიმ ტაშის დაცხრომას არ დაუცადა, გარეთ გავარდა და მსახიობთა გამოსასვლელ კართან აიტუზა. ლევანის როლის შემსრულებელს მადლობა უნდა უთხრას.

აი, გამოჩნდა ისიც. გოდერძის რაღაც ბურთივით მოაწვა ყელში და ენა დაება, ვერც ფეხი წადგა წინ. ლევანის როლის შემსრულებელმა გრიმმოცილილმა მსახიობმა ერთი უგულოდ გამოხედა და გვერდით სულ უცხო ადამიანივით ჩაუარა...

გოდერძი კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას, მიწაზე დალურსმულსა ჰგავდა. იდგა უჩვეულოდ აღელვებული და გულდაწყვეტილი.

„მამაჩემი რომ ცოცხალი დაბრუნდეს, იქნებ ვერც იმან მიცნოს?.. აკვანში დამტოვა, დღეს კი ლამის მისი ტოლი ვარ... ჰოდა, თუ მამა ვერ მიცნობს, მსახიობი რა გასამტყუნარია?.. მართლა მამაჩემი ხომ არ არის?.. გულგრილად ჩამიარა გვერდით, მერე რა მოხდა? რატომ უნდა მეწყინოს? ნეტავი კი დამიბრუნდეს მამა, თორემ ის კი მიცნობს, უეჭველად მიცნობს... სხვის მამას იქნებ ვერ ეცნო თავისი შვილი, მე კი მამაჩემი ნამდვილად მიცნობს... ერთს შემომხედავს, დამაკვირდება და უმალვე მიხვდება—მისი ბიჭი რომ ვარ.. ძალიან ვგავარ და იმიტომ... მერე რა, მსახიობმა რომ ვერ მიცნო? კეთილი გზა მისცეს განგებამ, რატომ უნდა ვეცნე? ვუნახივარ სადმე თუ?“

გზას მარტო გამოუყვა, თავჩაქინდრული და ჩაფიქრებული. წარმოდგენის ფიქრი წამოჰყვა გზაზეც.

„ მე უკვე თითქმის იმხელა ვარ, მამაჩემი რომ ჯარში წაიყვანეს... მაინც მიცნობდა, ჩემს ნახვას რომ ღირსებოდა, მაგრამ... ვინ აცალა!.. მალე მამის ტოლი გავხდები, მერე უფროსიც... ჰო, შვილი მამაზე ხნიერი ვიქნები... ჰაი, დედასა! რა უცნაურია წუთისოფელი!..“

შვილს რაღაც იმედის ნაპერწკალი აქამდე კიდევ უციაგებდა: იქნებ მამა და მამიდა სადმე ცოცხლები არიანო, ამ საღამოს კი ორივეს სიკვდილი ცხადლივ ნახა, თავისი თვალით და... ის ნაპერწკალიც ჩაუქრა.

„კარგად მოვიქეცი, დედას წამოსვლა რომ არ დავაძალე, ნეტავი მეც არ მენახა“,—გაივლო გულში და უმალვე მიხვდა ფუჭი ფიქრიაო:—რა გამაძლებინებდა, მამა რომ არ მენახა? მართალია, მამის სიკვდილს ჩემი თვალით ვუყურე, მაგრამ ეს ხომ ნამდვილი სიკვდილი არ იყო? ამიერიდან ყოველი წარმოდგენის დროს მამა ისევ გაცოცხლდება... მამიდაც... და თავიანთ სიკვდილ-სიცოცხლეს ხალხში გაიმეორებენ... ეს ვითომ პატარა ამბავია?.. სიკვდილ-სიცოცხლის გამეორება მხოლოდ ბუნებასა სჩვევია გაზაფხულზე... მე არც მამა მახსოვდა, არც მამიდა, წუხელ კი ორივე გაცოცხლდა ჩემს თვალწინ და სამარადისოდ ჩამებეჭდა გულში... ასევე ჩაებეჭდა გულში ალბათ ბევრ სხვასაც.. არა, ეს უბრალო ამბავი არ არის. დედა, ვიცი, ამას სხვანაირად განიცდიდა, მე კი ნამდვილად სწორად მოვიქეცი, წარმოდგენა რომ ვნახე...“

მიდის გზაზე გოდერძი და სულ ის ამბავი უტრიალებს თავში.

სკოლასთან წამით შეჩერდა.

აქ ერთმა ლაზღანდარა ბიჭმა თურმე გოგონას აწყენინა. მარიკა დობილს გამოექომაგა, იმ თავხედ ბიჭს ხელი ჰკრა და ანაზდად წააქცია, მერე მიტყიპა კიდეც. ყველამ მოუწონა საქციელი ახტაჯანა მარიკას, მასწავლებელმა ძმამ კი დატუქსა: ეგეთი რამ მეორედ აღარ გაბედოო.

„ფრონტზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, ეს ამბავი არ მოაგონდათ მაშინ?.. უეჭველად მოაგონდებოდათ“.

შინ რომ შევიდა, დედას ჯერ არ ეძინა.

—ამდენ ხანს სად იყავი, ბიჭო? შუაღამე გადავიდა უკვე.

გოდერძის კინაღამ წამოსცდა, მამა ვნახეო, ენა წაუბორძიკდა და ძლივს ამოღერღა:

— წარმოდგენას დავესწარი...

დედას სხვა არაფერი უკითხავს.

იმ ღამეს თეატრში ნანახი მამა ესიზმრა — ფარაჯიანი. დასეტყვილ ვენახს აღარ დასტიროდა, ხელში ნატყვიარი მუზარადი ეჭირა და ცას პეშვივით უშვერდა, წვიმის შეგროვება უნდოდა, ვერ ახერხებდა, მუზარადი დაცხრილული იყო. აიღო და ცაში გაისროლა მუზარადი. მუზარადმა იფრინა და ცას ნახევარმთვარედ დაეკიდა.

თითქმის ყველა სიზმარი უცნაურია.

გოდერძიმ მეორე დღესვე დედას გვერდზე საკინძეჩახსნილი ხალათი შეაკერინა, ისეთი, სცენაზე ნანახ ლევანს ჯარში წასვლამდე რომ ეცვა. დაჰკრა ფეხი და ნათელას მიადგა:

— თეატრში არ წამომყვები?

— წინა დღეს რატომ არ დამპატიჟე?—ირიბად გამოხედა ნათელამ.

— რა ვიცი... პირველად რატომღაც მარტოს მინდოდა მენახა... მაპატიე.

წაჰყვა ნათელა.

გოდერძის უცნაური რამ აეკვიატა: ნათელას სამამამთილო გავაცანიო.

— მოგეწონა?

— კარგად თამაშობენ, პიესაც კარგია.

— ჰაა?!—გოდერძი ამ პასუხს სულ არ ელოდა.

„მამაჩემი ჩემი ტოლი რომ იყო, უკვე ვაჟი ჰყავდა. ქალის მოყვანა ცოტაც რომ დაჰგვიანებოდა, უშვილძიროდ გადავიდოდა“,—გოდერძის ეგონა ეს გავიფიქრეო. მაშ, როგორღა გაიგონა ნათელამ?

შემოდგომაზე იქორწილეს.

გოდერძის გვერდზე საკინძეჩახსნილი ხალათი შეუუყვარდა. აქამდე ჯიბით მამის გაცრეცილ სურათს ატარებდა ახლა ფოტოგრაფს სცენაზე ნანახი სურათი გამოართვა და ის ჩაიდო ჯიბეში. ამიერიდან მამის ხატად ეს იწამა. უხარია: თეატრში გულთმისნები ყოფილან, მე და მამა ასე ძალიან რომ მიგვამსგავსეს ერთმანეთსო. ბოლოს ცნობისწადილმა წასძლია და გულისთქმა თეატრის გრიმიორს გაანდო.





— რა გიკვირს, შე კაი კაცო, შენი ერთი სურათი ყაზარია ფოტოგრაფს ვიტრინაში აქვს გამოფენილი. ლევანს გრიმ-პარიკი იმ სურათის მიმსგავსებით შეურჩიე.

გოდერძის ეს ამბავი ფინთიხივით მოხვდა გულზე.

„ეჰ, ნეტავი არ გამეგო.. თუ ასე იყო, მსახიობმა კართან რატომ ვერ მიცნო? დავიჯერო, არ იცოდა ჩემი სახე რომ დაახატეს? გრიმიორი ამას დაუმალავდა? რა ხალხია ეს არტისტები! ჩემი სურათი გამოიყენა, მე კი ზედაც არ შემომხედა!“

საღამოა. გოდერძის საკინძეჩახსნილი ხალათი აცვია და გზაზე ჩაფიქრებული მიდის.

— გამარჯობა, ლევან!.. თავი დაუკრა გალმაუბნელმა დათამ და შეცბა — ბოდიში, შვილო, ისე ჰგავხარ, რომ...

— საბოდიშო რა გაქვთ, ძია დათა, ნამდვილად გვავარ...

— ჰგავხარ, შვილო, ტყუპისცალივით ჰგავხარ... ოღონდ მისი ბედი გაშოროს ღმერთმა!

— იცოცხლე, ძია დათა!

გოდერძი წინანდელზე გახარებული დადის, მამის ხატად რომ ეჩვენება ხალხს. ოღონდ როცა თავის ორეულს სარკეში მოჰკრავს თვალს და წარმოიდგენს, მამა მიყურებსო, ადრინდელზე მეტად ეშინია.

„იქნებ მამის სიკვდილი ჩემი თვალით რომ ვნახე, იმიტომ? არ ვიცი, არა!“

ამ ფიქრს სხვა ფიქრი მოსდევს:

„საინტერესოა, სად მარხია? დაღუპვის ადგილს დავაზუსტებ და მივაგნებ“.

გოდერძის გალმაუბნელი ზაურ ხუციშვილი მოაგონდა. ზაური შარშან ჯარში წაიყვანეს. ერთ მშვენიერ დღეს ზაურის დედამ ბერლინიდან წერილი მიიღო. ხედავს: წერილში სურათი ძევს. ზაური დიდ ობელისკთან დგას გუშაგად. წერილში წერია: დედილო, ვიცი, ძველი ჭრილობა გაგეხსნება, მაგრამ ეს ამბავი რომ არ გაცნობო, არ შემიძლია. ორიოდე კვირის წინათ ბრანდენბურგის კართან საგუშაგოდ გამამწესეს. ვხედავ—მახლობლად, საძმო საფლავზე მაღალი ობელისკი დგას. ზედ მამაჩემის სახელი და გვარიც აწერია... დაბადებისა და გარდაცვალების თარიღიც. სწორედ ომის დამთავრების წინადღეს დაღუპულა. ერთი სიტყვით მივაგენი მამის საფლავს. ახლა ხშირად იმ ობელისკის ახლოს მიხდება გუშაგობა და ეს სურათიც იქვე გადავიღე.

პელომ შვილის წერილი ცრემლით დაალბო, ქმარი ახლაღა გამოიტირა.

„მე რომ ზაურის ყოფაში ჩავვარდნილიყავი, იმ ობელისკთან ვერ ვიგუშაგებდი. კაცია და გუნება. დღე და ღამ იმაზე ვიფიქრებდი: აქ ტყვიით გულგახვრეტილი მამა მიწევს-მეთქი... ვერ მოვისვენებდი, უბედური ვიქნებოდი“. გოდერძის ამ ფიქრში მეორე ფიქრი ჩაეზიარა — „თუმცა, მეც რომ ისეთ ადგილას მოვხვედრილიყავი, იქნებ იმ ჩვენებური ბიჭივით აშაყად დავმდგარიყავი მამის საფლავის გუშაგად? ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ზაური იქ მარტო თავის მამის საფლავს ხომ არ დარაჯობს? უვლის და პატრონობს იმ საქმეს, რასაც მამამისმა თავი შესწირა და... რის სიმბოლოდაც აღმართეს ობელისკი... ჰო, მეც ვიგუშაგებდი იქ, სურათსაც გადავიღებდი და გამოვგზავნიდი შინ. მწარე სიხამდვილე გულს დაუთუთქავდა დედას, ის კი საამაყოდ დარჩებოდა, ომში დაღუპული კაცის სახელი უკვალოდ რომ არ წაშლილა“...

ერთი წლის შემდეგ პიესა თბილისში დადგეს. რეჟისორმა გოდერძი წარმოდგენაზე მიიპატიჟა. იქ ლევანი სხვანაირად მოკვდა. გოდერძი ალარ უხსენებია და დარბაზშიც არავის დაუწყია ტირილი.

„იქნებ საერთოდ არ მომკვდარა არც მამაჩემი, არც მამიდა? ეგებ ყველაფერი ეს ვიღაცამ გამოიგონა? ჰო, გამოიგონა, რომ ხალხს ჩააგონოს, სამშობლოსათვის თავდადებული გმირები ეცემიან, მაგრამ არ კვდებიანო? არ ვიცი, არა...“

კიდევ კარგი, ნათელას არ შეეძლო ამ წარმოდგენაზე დასწრება, თორემ იტყოდა: პიესა აქ უფრო გემოვნებით არის დადგმული და მსახიობებიც უკეთ თამაშობენო. ნათელასათვის ყველაფერი ეს მაინც თეატრია, გოდერძისათვის კი...

წარმოდგენის შემდეგ გოდერძი რეჟისორის კაბინეტში შევიდა კრიჭაშეკრული. არ იცოდა რა ეთქვა, მადლობა, თუ...

— დაბრძანდი!—უხერხულად მდგომ გოდერძის სავარძელში შესთავაზა რეჟისორმა, თვითონ მწვანემაუდიან მაგიდას მიუჯდა, პაპიროსს მოუკიდა და მშვიდად გააბოლა. დუმილი ჩამოწვა.

—ალბათ არ მოგეწონა წარმოდგენა... ნუ მომერიდები, მითხარი!.. მე ისეთი კაცი არა ვარ...

— არა!.. წარმოდგენის მოწონება-არმოწონება აქ არაფერ შუაშია... მე არ უნდა დავსწრებოდი. ვნანობ...

—რატომ?! — გაუკვირდა რეჟისორს.

— იცით რა... ამ საღამოს ისეთი რამ დამემართა, აი, როგორ ვთქვა, არ ვიცი... მე მამა სულ არ მახსოვდა... ჩვენში რომ წარმოდგენას დავესწარი, იქ ნანახი ვიწამე მამად, ვიწამე და ჩამებეჭდა გულში... დღეს კი იმ სახეს მეორე აეფარა თუ ჩაეზიარა... ჩაეზიარა კი არა, თითქოს შეენაცვლა კიდეც... თქვენი მსახიობი იქნებ უკეთესად თამაშობს, უფრო მართლად, მაგრამ... რაკი ის პირველი ვიწამე მამის ხატად... ეს იმას ჰგავს, დიდი ხნის შემდეგ კაცი რომ გაჩვენონ და გითხრან: მამაშენიაო. შენც ირწმუნო. ხოლო წლის თავზე მეორე ადამიანი გაჩვენონ: ის კი არა, ეს არის მამაშენიო. ხომ დაიბნევი—რომელია ნამდვილიო? ეტყობა, ასე მომივიდა მეც. იმ პირველის სახე მიტრიალებს გულში... სხვა თეატრმაც თუ დადგა, დედას გეფიცებით, რომ მომკლან, აღარ ვნახავ... მაშინ სამი სახე ამერევა ერთმანეთში, სულ დავიბნევი... აი, ამიტომ გითხარით ნეტავი ეს წარმოდგენა არ მენახა-მეთქი... სჯობია მამის ის პირველი ხატი შევინახო... ერთი... გამიგეთ?

რეჟისორმა უხმოდ დაუქნია თავი, ჩაქინდრა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

ეს მოხდა გუშინ. დღეს კი სალიეთისკენ მიმავალ გზას მიჰყვება გოდერძი. ამ გზაზე დაიარებოდა მამამისი, ახლა გოდერძი მიდის... მიდის და ჰგონია მამა გვერდით მომდევსო.

გოდერძი ახლა ოცდასამი წლისაა. ლევანი ერთი წლით უფროსი იყო, გოდერძი აკვანში რომ მიატოვა და ომში წავიდა. კიდევ კარგი, ვაჟი მაინც დარჩა და... გოდერძი დღე-დღეზე ელის შვილს.. იქნებ კიდევაც... ნათელას სამშობიარო სახლში არ წაიყვანდნენ... მეზობლად ჰყავთ ბებია ქალი და ექიმიც.

„ იქნებ კიდევაც...—ფიქრი მზესავით იბუდებს გოდერძის გულში. სიცხე რომ ჩამოწვება, შვილის აკვანს სწორედ იქ დავდგამ ხოლმე, ჩემი რომ იდგა, აივანზე. აივანს კაკლის ჩრდილიც ეფარება. საამო ჩრდილი აქვს კაკალს. ფართო ფოთლებში მზე ხელებს ალერსიანად აფათურებს და იქიდან სიცხეს კი არა, სიგრილესა ღვრის, ღვრის უხილავ საამო წვიმასავით... გოგო იქნება თუ ბიჭი? მე ბიჭი მირჩევნია. ნათელა გაიძახის: გოგო მინდაო... მშვიდობა იყოს და გოგოს რა უშავს? ახალგაზრდა ქალს კალთა სავსე აქვს შვილებით... მერე ბიჭიც გაჩნდება... ლევან როინიშვილი. მე ხომ პაპის სახელი მქვია? ახლა თუ პირველი ბიჭი შემეძინა, რა თქმა უნდა, მამაჩემის სახელს დავარქმევ. თუ გოგო დაიბადა, მამიდას სახელს გავაცოცხლებ... ოღონდ მშვიდობა იყოს და...“

გამოჩნდა მთვარიანში მძინარე სალიეთი. ნათურები თვალს აციმციმებენ აივნებსა და გზის გაყოლებით ჩამწკრივებულ ბოძებზე. მთვარის შუქი მაინც შვენის სოფელს. ეს შუქი და კრუალების ხმა საოცრად ამშვიდებს ქვეყნიერებას.

გამოჩნდა გოდერძის სახლი. გოდერძიმ შორიდან მიაყურა: კივილი ხომ არ ისმისო. აივანზე დიდი ნათურა ანთია. კაკლის უზარმაზარი ხე მთვარეს დაუვერცხლავს.

ახლა კი აღარ მოუთმინა გულმა და გოდერძიმ ფეხს აუჩქარა.

ხიდზე დათა გადმოდის. დათასთან გასაუბრება უყვარს გოდერძის, მაგრამ ახლა რომ ეჩქარება?

— გამარჯობა, ძია დათა!—ომახიანად შესძახა და გზას გაუტია.

— გაგიმარჯოს... აჰ, გოდერძი ხარ?—დათა შეჩერდა.

— ხომ მშვიდობაა, ძია დათა?

— მშვიდობაა, შვილო, მშვიდობა.

— ნათელა?

— რა ნათელა?

— როგორ არის?

— ჰოო... მივხვდი. მალე გახდები მამა, მალე! კარგი ოჯახის შვილი ხარ!.. შენმა ფესვმა უნდა იმრავლოს!..

გოდერძიმ მადლობა გადაუხადა ბერიკაცს და ხიდს რომ გასცილდა, სულმოუთქმელად გაიქცა... აქამდე ითმინა, ითმინა და თავის სახლს რომ მიუახლოვდა, ახლაღა გაიქცა.

სიწყნარეა ირგვლივ. მხოლოდ გოდერძის ფეხის ხმა ისმის და მთვარის შუქით დავერცხლილი ძველისძველი კაკალი ტოტებს ისე აშრიალებს, თითქოს ცაში განაბულ უამრავ ლამაზ ვარსკვლავს რაღაც საამო ამბავს უყვებაო.

# ტანკები მიდიოდნენ იერიშზე

1944 წლის გვიანი შემოდგომა იყო. მეოთხე უკრაინის ფრონტის ჯარები დაუცხრომლად უტევდნენ წელში გატეხილ გერმანულ დივიზიებს. მაგრამ ისინი მაინც ებღაუჭებოდნენ კარპატის მთებზე მოწყობილ საფრონტო ზღუდეებს, რომლებიც ეშელონირებული თავდაცვის უწყვეტ ხაზებად იყო გაშლილი მთელს ქედზე.

ჩვენი პირველი გვარდიული არმია, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი, ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი, ანდრეი ანტონის-ძე გრეჩკო მეთაურობდა, მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ კარპატებს შუა, ბარდეევის რაიონში, ე. წ. სანოკის გადასასვლელთან, რომელიც შეტევის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა. აქედან, კარპატებიდან ჩვენს ჯარებს გზა ეხსნებოდათ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთისაკენ.

გერმანელებმა აქ ყველა გადასასვლელი დანაღმეს და სხვადასხვა საინჟინერო ნაგებობებით ჩახერგეს. აქვე თავი მოუყარეს დიდძალ არტილერიას, ნაღმსატყორცნებს.

ყველა ჩვენი იერიში უშედეგოდ მთავრდებოდა. საჭირო იყო რაღაც სხვა ღონისძიების მიღება. და აი, არმიის სარდალმა თავის შტაბში მე-31 გვარდიული სატანკო ბრიგადის მეთაურს, გვარდიის პოლკოვნიკ სტეფანე ხოპკოს გამოუძახა.

— გამოსავალი მხოლოდ ერთია, — უთხრა სარდალმა ხოპკოს, — რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, თუნდაც რამდენიმე ტანკით, ორი დღეღამის განმავლობაში შემოვლით უნდა გახვიდეთ მტრის ჯარების ზურგში. როგორც მზვერავებმა გვაცნობეს, — განაგრძო სარდალმა, — ამ მეორე მიმართულებას უნგრული ნაწილები იცავენ. ეს უბანი მათ გაუვალად მიაჩნიათ ტანკებისათვის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენი ტანკები მათ მალე გაუქარწყლებენ ამ აზრს. ჩვენ მთავარ მიმართულებაზე შევქმნით შეტევის შთაბეჭდილებას, ხოლო ორმოცდარვა საათის შემდეგ, როცა მტრის ზურგიდან თქვენს ნიშანს მივიღებთ, დავიწყებთ გენერალურ შეტევას და ასე, ორმხრივი დარტყმით გავწმენდთ ამ ჭალარა კარპატების ქეჩოსაც.

იმავე ღამეს სატანკო ბრიგადის მეთაურმა საგანგებო სხდომა მოიწვია. ბრიგადის შტაბის სადაზვერვო ჯგუფის უფროსმა მაიორმა ბონდარენკომ იმ პირთა სიები წაიკითხა, ვისაც მტრის ზურგში უნდა შეეღწია, მათ შორის იყვნენ მზვერავი გოგი სანებლიძე, ექიმი ალიოშა კილაძე, მძღოლი გიორგი ჯაფოშვილი, ვანო კუდუხაშვილი, ისმაილ იუსუფოვი და სხვები. სადაზვერვო ჯგუფში, რომელსაც თვით ხოპკო ხელმძღვანელობდა, შეყვანილ იქნენ საგანგებოდ შერჩეული, ბრძოლებში გამობრძმედილი მეომრები.

ჩემი სატანკო ოცეული მოთმინებით ელოდა ჩემი გვარის ამოკითხვას, ვინაიდან თვითონ მებრძოლები უკვე დასახელებულნი იყვნენ. მაგრამ პოლკოვნიკმა განაცხადა, გადავწყვიტეთ, თუ მისი სურვილიც იქნება, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ილია ტატიშვილი დღეიდან შტაბში გადმოვიყვანო ჩემს ადიუტანტად, ხოლო მის ადგილას ლეიტენანტი სინიცინი დავაყენოთო.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ყველა გაგვაკვირვა, განსაკუთრებით კი ჩემი ეკიპაჟის წევრები.

საგონებელში ჩავვარდი. არ ვიცოდი, როგორ გამებედა საყვარელი მეთაურისთვის იმის თქმა, რომ ჩვენმა ეკიპაჟმა ფიცი დადო ერთად გვეძია შური ჰიტლერელებზე ამ ტანკის ყოფილი მეთაურის, მამაცი ოფიცრის ვახტანგ გელაშვილისა და მისი თანამებრძოლების დაღუპვისათვის. მათი სურათი ქვემეხის ლაფეტზე გვქონდა დამაგრებული და ყველა ბრძოლაში ჩვენს თანამონაწილეებად ვთვლიდით.

— ამხანაგო გვარდიის პოლკოვნიკო! — შევბედე ბოლოს, — გთხოვთ, თუ ჩემი გადმოსვლა აუცილებელი არ არის, თქვენს ადიუტანტად სხვა შეარჩიოთ და დამტოვოთ ჩემს ნაჭრილობევ ტანკში, რომელიც ესტაფეტასავით მაქვს გადმოცემული ჩემი სახელოვანი თანამემამულის ვახტან გელაშვილისაგან.

— ვიცოდი, უარს მეტყოდი, — ჩაიცინა პოლკოვნიკმა, — რა გაეწყობა, რახან ასეა, დარჩი ისევ შენს ეკიპაჟთან.

მალე ჩვენი სადაზვერვო ჯგუფი გზას გაუდგა. შეტევის ადგილამდე ორმოცი კილომეტრი რჩებოდა. გზა ძალიან ცუდი იყო.

განსაკუთრებით უჭირდა მეწინავე ტანკს. ამიტომ დროდადრო ერთმანეთს ვენაცვლებოდით და ასე, მხედველობის, გონების და ფიზიკური ძალების მთელი დაძაბვით გათენებამდის ძლივს გავიარეთ 28 კილომეტრი.

დაღლილობისა და უძილობისაგან თვალები გვეწოდა. მაგრამ მესანგრეებისა და სატანკო დესანტის დაძაბულმა შრომამ, რომლებსაც ჩვენი ეკიპაჟებიც ეხმარებოდნენ, უზრუნველყო შეტევის მიმართულებით გზის მომზადება. მარტო ერთი ხიდიღა გვქონდა დარჩენილი, რომელსაც შემდეგ ჩვენმა მებრძოლებმა „ეშმაკის ხიდი“ შეარქვეს.

ეს ხიდი ხუთი კილომეტრით იყო დაშორებული გერმანელების წინა ხაზიდან. იგი ძველი ხიდი იყო, ოცი მეტრის სიმაღლისა, და მხოლოდ ურმებისა და ეტლებისათვის იყო განკუთვნილი. იგი ისე უნდა გაგვემაგრებინა, რომ ტანკების სიმძიმისთვის გაეძლო.

რვა საათის თავაუღებელი მუშაობის შემდეგ დავიწყეთ მასზე გადასვლა. ყოველი ტანკის გადასვლის შემდეგ ხიდი სულ უფრო საშიში ხდებოდა, და აი, როცა მასზე უკანასკნელი ტანკიც შედგა, ხიდმა ჩვენს თვალწინ დაშლა დაიწყო. კატასტროფა თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ გამოცდილი მძღოლი გიორგი ჯაფოშვილი არ დაიბნა და ხიმინჯებზე მუხლუხების ბლაუჭით წინსვლა განაგრძო. უკანასკნელ მომენტში ხიდი მთლიანად დაიშალა და ტანკი წინა კედელს მიეყრდნო. 30 ტონიანი ტანკი ორ ხიმინჯსა და ნაპირის კედელს შორის ჩამოეკიდა ჰაერში. მოფიქრებულმა და გაბედულმა მძღოლმა ძრავა ჩააქრო, რათა ვიბრაციას არ დაეჩქარებინა ხიმინჯების გამოცვლა. ყველა გაირინდა ტანკის დაღუპვის მოლოდინში. არ დაიბნა მარტო „№ 41“ ტანკის მძღოლი საშა კარასიოვი, რომელმაც სასწრაფოდ მიაგდო თავისი მანქანა ნაპირზე, ტანკს წინა საბუქსირო კაუჭებზე ბაგირები მოსდო და განწირული მეგობარი ზევით ამოათრია. ხიდის ჩანგრევით უკან დასახევი გზა მოჭრილი გვქონდა. რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა — წინ, მტრის ზურგში შესაჭრელად.

ტანკები ტყეს შევაფარეთ და გზისა და მოწინააღმდეგის წინა ხაზის დასაზვერად მებრძოლები გავგზავნეთ. მალე მათ, მრავალ საინტერესო ცნობასთან ერთად, ორი უნგრელი ტყვეც მოიყვანეს. ტყვეებმა დაადასტურეს, რომ ამ მიმართულებით მტერს ძალზე სუსტი თავდაცვა ჰქონდა და შეტევას სრულებით არ მოელოდა.

ამის შემდეგ ჩვენმა სადაზვერვო ჯგუფმა უკვე თამამად აიღო გეზი მტრის ზღუდეებისაკენ. ამ დროს არმიის შტაბისაგან რადიოგრამაც მივიღეთ, რომელშიც შეტევის დაწყების დრო და კავშირგაბმულობის პირობითი ნიშნები იყო მოცემული. დაზუსტებული იქნა ურთიერთმოქმედების გეგმაც. პირველი გვარდიული არმიის არტილერიამ გერმანელებს ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინა. ჩვენ ვისარგებლეთ ამ ალიაქოთით და მტერს შეუმჩნევლად მივუახლოვდით ზურგიდან.

ჰიტლერელებამდე სულ მხოლოდ ნახევარი კილომეტრი გვაშორებდა. არმიის შტაბის ნიშანზე თავბრუდამხვევი სისწრაფით დავძარით ჩვენი ტანკები და ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი სროლით შევიჭერით მოწინააღმდეგის ზურგში. გერმანელთა შორის წარმოუდგენელი პანიკა დაიწყო. ამით ისარგებლეს არმიის შემტევმა დივიზიებმა და მთელი ძალით ეკვეთნენ მტერს. დაიწყო გენერალური შეტევა.

გერმანელებმა ვერ გაუძლეს ორმხრივ დარტყმას და სანგრებიდან წამოიშალნენ. თავდაცვის პირველი ხაზი ელვისსისწრაფით იქნა განადგურებული.

საათნახევარი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ტანკებმა, არმიის სხვა ნაწილებთან ერთად, ხელთ იგდეს სახელმწიფო გზა; ამ გზის დაკავებით მტრის იმ ძალებს, რომლებიც სანოკის გადასასვლელის მთავარ მიმართულებას იცავდნენ, უკანდახევის ყოველგვარი საშუალება ეკარგებოდათ.

ღამდებოდა. ბრძოლის ველი ბინდმა მოიცვა. სანოკის გადასასვლელის მხრიდან კი მაინც განუწყვეტლივ მოისმოდა ზარბაზნებისა და ნაღმსატყორცნების გუგუნ-გრიალი. ეს ჩვენი პირველი გვარდიული არმიის დივიზიები გენერალ გრეჩკოს მეთაურობით უტევდნენ სანოკის გადასასვლელს.

ღამის თერთმეტ საათზე დაკავებულ იქნა სანოკის გადასასვლელი, რომელიც ერთ-ერთ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა ჰიტლერელთა უღლისაგან ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გასანთავისუფლებლად.

ასე ვაჟკაცური და მებრძოლური შემართებით შესრულა ჩვენმა პატარა სადაზვერვო ჯგუფმა მამაცი და გამოცდილი მეთაურის, გვარდიის პოლკოვნიკ სტეფანე ალექსანდრეს-ძე ხოპკოს ხელმძღვანელობით სარდლობის მიერ დასახული ეს ურთულესი ამოცანა.

ბევრი ჩვენი მებრძოლი, მათ შორის, ჩემი თანამემამულეც გმირის სიკვდილით დაეცა ამ უთანასწორო ბრძოლაში. ექიმმა ალიოშა კილაძემ მიამბო თუ როგორ დალია იმ დღეს სული მის ხელში ლეიტენანტმა გელა ქურულმა.

— მითხარ ალიოშა, ხომ ღირსეულად ვატარე ქართველი კაცის სახელი? — უთქვამს გელას სიკვდილის წინ.

გელა ქურულის სახელი გვარდიული სატანკო ბრიგადის უკვდავთა სიაშია შეტანილი.

შარშან, 1964 წელს წერილობით დავუკავშირდი ჩვენი სატანკო ბრიგადის მაშინდელ მეთაურს, სტეფანე ხოპკოს, რომელსაც ვთხოვე ორიოდ სიტყვით მოეწერა თავისი შთაბეჭდილება იმ ქართველ მებრძოლებზე, ვინც მასთან ერთად იბრძოდა. აი რას იწერება იგი: „მე მახსოვს ყველა ქართველი, რომელიც ჩვენს სატანკო ბრიგადაში იბრძოდა, მართალია, ისინი ცოტანი იყვნენ, მაგრამ ყველა მათგანმა წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. თვითეული მათგანი იყო დიდბუნებოვანი ვაჟკაცი, ბრძოლაში გაბედული, მოხერხებული, უშიშარი, დაუდეგარი და სამშობლოსათვის თავგანწირული. ჩვენი სამშობლო არასდროს არ დაივიწყებს მათ უკვდავ სახელებს“.

**ილია ტატიშვილი**



# მინის ზღაპარი



სახეხი საამქრო

## სადაურია ეს ლარნაკები?

მაღაზიის წინ აუარებელი მყიდველები ირეოდნენ.

— რაშია საქმე, რატომ მოგროვილა ამდენი ხალხი? — კითხულობდნენ მაღაზიასთან შეჩერებული გამვლელები.

— ლარნაკებსა ჰყიდიან... ფერადი მინის ჩეხურ ლარნაკებს...

ლარნაკები მართლაც ლამაზი იყო — ყელყელა, გვერდებში ოდნავ შედრეკილი. ოსტატს თავისი ნამუშევრისათვის გემოვნებით შეერჩია ფერი, რომელიც ლარნაკს მეტ შნოსა და სადა იერს მატებდა.

ერთმა მანდილოსანმა, რომელიც ის-ის იყო მაღაზიიდან გამოვიდა, ახალნაყიდი ლარნაკი ფრთხილად გადაატრიალა ხელში, ფსკერზე მიკრულ იარლიყს დახედა და შეცბუნებულმა წამოიძახა:

— უი, ჩეხური კი არა, ქუთაისური ყოფილა.

ქუთაისის მინის ტარის ქარხანას მაშინ ახალი გახსნილი ჰქონდა ბროლისა და სულფიდური მინის გამომშვები საამქრო. ბევრმა მოქალაქემ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია მხოლოდ რამდენიმე დღის წინ გამოუშვა.

ქალი უმალ მაღაზიაში შებრუნდა.

— ეს რა მომეცით, რაღა მინდოდა ქუთაისური საქონელი, აქ ჩეხური ლარნაკის შესაძენად მოვედი...

— განა ვინმემ გითხრათ, ჩეხურიაო, თქვენ თითონ არ აარჩიეთ? წეღან რომ ძალიან მოგწონდათ?

გამყიდველი მართალს ამბობდა. ლამაზმა, სადად მოყვანილმა ლარნაკებმა თვითონვე გაუკეთეს თავიანთ თავს რეკლამა. მომხმარებლებს ისე მოეწონათ ისინი, რომ შეკითხვის გარეშეც, ჩეხი ოსტატების ნამუშევრად მიიჩნიეს. ან როგორ არ მოეწონებოდათ — ლარნაკი კი არა, მოწკრიალე ზღაპარი იყო.

ხალხი მაინც სანახევროდ დაიშალა. რამდენიმე მოქალაქემ იმედის გაცრუებით ჩაიქნია ხელი და მაღაზიას გაეცალა.

— რა თქმა უნდა, ჩვენ ნასიამოვნები ვართ, რომ ქუთაისური ლარნაკი ჩეხოსლოვაკურ ნაწარმად მიიჩნიეს, — გვითხრა ქუთაისის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა, — მაგრამ ამ ფაქტიდან ერთი სამწუხარო დასკვნაც უნდა გავაკეთოთ. ზოგიერთი ჩვენი მომხმარებელი რატომღაც აუგად იხსენებს ქართულ ბროლს და მარტო უცხოურს ეტანება. ჩვენებურ ბროლს კი საუკეთესო სიკაშკაშე, თანამედროვე სადა ფორმა და ნატიფი მოხატულობა აქვს. ეს სიტყვები ჩემი არ გეგონოთ, იგი მინის ხელოვნების გამოჩენილ სპეციალისტს, ლენინგრადელ პროფესორს სმირნოვს ეკუთვნის...

## ცოტა რამ წარსულიდან

ამირანიანის ცნობილ ეპოსში არის ასეთი სტრიქონები:

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა,
საქმარედ გამზადებულსა,
უსუპი ბროლის ციხესა —
თავბოლო გამაგრებულსა,
ამირან შავსა ღრუბელსა
საავდროდ გამზადებულსა.

როგორც ისტორიკოსები ვარაუდობენ, ამირანის ეპოსი შექმნილია ჯერ ისევ ჩვენი ისტორიის გარიჟრაჟზე. მაშასადამე, ბროლისა და მინის დამუშავებას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. არქეოლოგიური გათხრებით ირკვევა, რომ საქართველოში მინას ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში იცნობდნენ. სამარხებში, ნასოფლარებისა და ნაქალაქარების ადგილზე არქეოლოგები დღესაც პოულობენ მინის სხვადასხვა ზომის ნივთებს, რომლებიც მეტყველებენ, რომ ჩვენი წინაპრები მაღალი მხატვრული გემოვნებისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე მინის ოსტატებიც ყოფილან.

1958 წელს თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ორბეთში აღმოაჩინეს მინის უძველესი საწარმოს ნაშთები, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნით თარიღდება. ამ საწარმოს ტერიტორიაზე მეცნიერებმა მიაკვლიეს მინის სადღობ უნიკალურ ქურას — თაკარას, უცნაური ფორმის მინის საჭრელ „დანას“, აქვე იპოვეს სხვადასხვა ფერის მინის ნატეხები, სარკისა და სარკმლის მინის ნამსხვრევები, რომლებიც ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ საქართველო ამ სფეროშიც ტოლს არ უდებდა მსოფლიოს იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენებური თაკარა თავისი აღნაგობით უფრო რთული და სრულყოფილია, ვიდრე შუასაუკუნეების სხვა ქვეყნების ღუმელები. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში სემენსის მიერ გამოგონებული აეროგენერატორული ღუმელი ძალიან წააგავს ქართულ თაკარას, რომელშიც მინის ღღობა თითქმის იმავე პრინციპით სწარმოებდა.



ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ერთ-ერთი მთავარი კონვეიერი

XIV საუკუნიდან საქართველოში თანდათან დაქვეითდა მინის წარმოება, მოისპო და დავიწყებას მიეცა მინის მხატვრული დამუშავება; დაიკარგა ორბეთელ, წალკელ, თრიალეთელ, ნატბეურელ ხელოსანთა მდიდარი ტრადიციები.

## ახალი ყლორტები ძველ ფუძეზე

ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ოსტატებმა გადაწყვიტეს აღედგინათ საუკუნეების წინათ დაკარგული ტრადიცია — ქართული ბროლისა და სულფიდური ფერადი მინის წარმოებისათვის მოეკიდათ ხელი.

ეს იყო გაბედული ნაბიჯი! ბროლის წარმოების დაწყება მაშინ, როცა ბროლის ნაწარმი თანდათან გამოდიოდა მოდიდან — საძნელო საქმე იყო. სულ სხვა იყო კერამიკა: კერამიკულ ნაწარმზე მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა, მოგების თვალსაზრისითაც იგი უფრო სარფიანი იქნებოდა ქარხნისათვის, მაგრამ ქუთაისელი ენთუზიასტები ერთი ნაბიჯითაც აღარ აპირებდნენ უკან დახევას.

რაზე ამყარებდნენ ქუთაისელები იმედს? რა აძლევდა მათ საფუძველს, რომ ასე გაბედულად მოეკიდათ საქმისათვის ხელი?

ბროლი, როგორც ცნობილია, თავისი გამჭვირვალობით, ციმციმით, წკრიალა ხმით ხიბალისებსა და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი თვისებების მქონე დეკორაციული და პრაქტიკული დანიშნულების ნაწარმი როდისმე მოსაწყენი გახდეს. დღევანდელ ეტაპზე შეიძლება მოძველებულად ჩავთვალოთ ბროლის ნაწარმის მხოლოდ ესა თუ ის ფორმა, შეიძლება მოსაწყენად მოგვეჩვენოს მისი მხატვრული დამუშავების ტრადიცია. რას ვიზამთ, ყველა ეპოქას თავისი გემოვნება აქვს: დღევანდელი დღე ხელაღებით კი არ უარყოფს ბროლს, არამედ ველარ ეგუება მის მძიმე, ძველებურ ფორმებს, ზედმეტად მიაჩნია მისი ზედაპირის დეტალური დამუშავება.

მინას აქვს თავისი საიდუმლო — კარგმა ხელოვანმა უნდა მთლიანად ამოხსნას და ამოიცნოს იგი. გამარჯვებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მივაღწიოთ, თუ მოვახერხებთ ისეთი ფორმა და დამუშავების ისეთი სტილი შევურჩიოთ ბროლს, რომ იგი მთლიანად აკმაყოფილებდეს თანამედროვეობის მოთხოვნილებას.

ჩვენმა ჩეხოსლოვაკელმა მეგობრებმა კარგა ხანია, რაც მოახერხეს ასეთი გამარჯვების მოპოვება. კერამიკის „ეპიდემიის" წლებში, როცა ბროლი თითქოს და „მოდიდან გამოვიდა", „მინის ქვეყანამ" — ჩეხოსლოვაკიამ, არათუ შეამცირა ბროლის წარმოება, არამედ მნიშვნელოვნად გაადიდა კიდეც. ჩეხოსლოვაკიის მინის მრეწველობა ახლა ძირითადად საექსპორტო ნაწარმის დამზადებაზე მუშაობს და თავისი პროდუქციის 98 პროცენტი მსოფლიოს 120 ქვეყანაში გააქვს.

ჩეხოსლოვაკიის მაგალითი უჩვენებდა ქუთაისელ მემინეებს, რომ კერამიკასთან ერთად ბროლიც ცოცხლობდა და თავისი გზით ვითარდებოდა. მათ იცოდნენ, რომ ქართული ბროლის დღეგრძელობისათვის საჭირო იყო ახალი ფორმების, სადა და ლაკონიური ხაზების ძიება; საჭირო იყო ბროლზე ეროვნული ორნამენტების გაცოცხლება, ცისარტყელას ფერებით მინის ამეტყველება.

რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ქუთაისელ მემინეებს აუცილებლად უნდა მოეხერხებინათ, რომ თავიანთი ნაწარმი ხალხის გემოვნებისათვის მისაღები და მისაწვდომი გაეხადათ.

## ბროლის საამქრო

ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში ყოველწლიურად ეწყობა საბჭოთა კავშირის მინის ქარხნებში დამზადებული ნიმუშების საკავშირო დათვალიერება. ქუთაისის ქარხანა შარშან პირველად წარსდგა ამ დათვალიერებაზე. წარმატებამ, რომელიც ქარხნის პროდუქციამ მოიპოვა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ცამეტი ნიმუშიდან, რომლებიც ქარხანამ გამოფენაზე წარადგინა, თერთმეტმა ნამუშევარმა ჟიურის ერთსულოვანი აღიარება დაიმსახურა. დიდი მოწონება ხვდა წილად თ. გოგოლაშვილის სალვინე მოწყობილობას — „ზარს", კონიაკის გრაფინს „ჭადრაკს", დეკორაციულ ლარნაკს „ობობას", ყველა ისინი გადაეცა საბჭოთა კავშირის ქარხნებს წარმოებაში დასანერგად და მასობრივად გასავრცელებლად.

ქუთაისში, № 78 მაღაზიაში ჩვენ ვნახეთ ცარიელი სტენდი, მასზე წითელი ასოებით გამოყვანილი იყო წარწერა „ქუთაისური ბროლი".

— რა ვქნათ, ბატონო, — გვითხრა გამყიდველმა თინა სანდუხაძემ, — კარგა ხანია ვაპირებთ, მაგრამ მაინც ვერ შევძელით სტენდის შევსება... ჩვენთან ქუთაისურ ბროლზე დიდი მოთხოვნილებაა... ჰოდა, რა სინდისი მოგვცემს ნებას, რომ მომხმარებლისათვის საჭირო ნივთები ამ თაროებზე დავალაგოთ?

ქუთაისური ბროლის ყველაზე დიდი შემფასებლები, პირველი მსჯავრის დამდები, უპირველეს ყოვლისა, მისი მომხმარებლები არიან. ეს მომხმარებლები კი ახლა სიამოვნებით იძენენ ქართული ბროლის საუკეთესო ნიმუშებს და ხელის ჩაქნევით უიმედოდ აღარ გაიძახიან:

— ეხ, თურმე ქუთაისისა ყოფილა!..




ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ გოგოლაშვილი

ფოტო თ. არჩვაძისა

* * *

ქუთაისის მინის ქარხნის ბროლის საამქროში ვართ. ეს ვიწრო, ოდნავ ბნელი საამქრო ის სამახსოვრო ადგილი გახლავთ, სადაც რამდენიმე წლის წინათ ფეხი აიდგა ქართულმა ბროლმა. აქ ულოცავდნენ ერთმანეთს თავიანთ პირველ გამარჯვებას ქარხნის დირექტორი შალვა ჭანკოტაძე, მთავარი ინჟინერი ალექსანდრე წულაძე, ინჟინერ-სილიკატორი ნინო შათირიშვილი, ლაბორატორიის გამგე გოგი მელიავა...

დილიდან საღამომდე აი ამ ღუმელებთან ტრიალებდნენ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი კალე ქუთათელაძე და „საქმინხილწულების" ტრესტის მმართველი გიორგი ბაქრაძე, რომელთა დახმარებითა და მხარდაჭერით ჩაეყარა საფუძველი ბროლის წარმოებას.

უკან დარჩა პირველი სიხარული და პირველი გამარჯვებები. ქუთაისელ მემინეებს ახლა კიდევ უფრო დიდი და საშური საქმეების მოგვარება აქვთ გადაწყვეტილი. ქარხანამ წელს 40 სახეობის ბროლისა და 11 სახეობის ფერადი სულფიდური მინის ნაწარმი უნდა გამოუშვას. ეს კი ხუმრობა საქმე როდია! ქუთაისური ბროლის ზოგიერთი სახის ნაწარმი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლის გაზრდილ მოთხოვნილებას. საჭიროა მათი ფორმისა და მხატვრული სახის დახვეწა, ბროლის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება და სრულყოფა...

აი, ამიტომაც არის, რომ ქართული მხატვრული მინის ოსტატები — ჯემალ ლომთაძე, გივი გეგუჩაძე, უჩა ლოლაძე, სერგო ჯოჯუა, ილია ზამთარაია და სხვები ასე გულმოდგინედ უკირკიტებენ ნახაზებს. უბის ბლოკნოტებში ინიშნავენ ახალ ესკიზებსა და საქმიან წინადადებებს, რომ ქარხნის ტექნიკურ საბჭოს განსახილველად წარუდგინონ.

მალე, სულ მალე ეს მონდომებული ოსტატები ბროლის ახალ, კეთილმოწყობილ საამქროში გადავლენ. კიდევ უფრო გაიშლება და გაფართოვდება ქართული ბროლისა და სულფიდური მინის წარმოება, მეტი ბარაქა და შნო დაედება მათ საქმეს.

საუკუნეების შემდეგ საქართველოში, ისევ აიდგა ფეხი მხატვრული მინის წარმოებამ და ეჭვი არ არის, რომ ქუთაისელი მემინეები ღირსეულად გააგრძელებენ სახელოვანი წინაპრების მადლიან საქმეს.

ა. გობრონიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა მუსიკოსი

თბილისის პიონერთა სასახლის სცენაზე პატარა ბიჭუნა გამოდის და თითქოს შიშით, არეული ნაბიჯით უახლოვდება ფორტეპიანოს, ხელებით მოძებნის სკამს, მერე ჯდება და უკრავს.

კონცერტს ესწრება სახელგანთქმული კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი.

— ვინ არის ეს ბავშვი? — იკითხა კომპოზიტორმა.

— ზურაბ ფარემუზაშვილი.

— რამდენი წლის არის?

— ცხრისა.

კომპოზიტორს არაფერი უთქვამს, ხოლო როცა კონცერტი დამთავრდა, პატარა პიანისტს ხშირ თმებზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და სასტუმროში მიიპატიჟა.

მეორე დილით ზურაბი, მამასთან ერთად, ესტუმრა კომპოზიტორს.

— კიდევ რის დაკვრა შეგიძლია, პატარავ? — ჰკითხა ხაჩატურიანმა.

— კიდევ? შემიძლია დავუკრა მოცარტის ვარიაციები... მაქვს საკუთარი პიესებიც „ტყეში“ და „მხიარული ბავშვები“.

...და პატარა პიანისტი ისევ მიუჯდა ფორტეპიანოს.

კომპოზიტორი ჩაფიქრებული ზის და თვალს არ აშორებს კლავიშებზე პატარა თითების სრიალს... საოცარია, საიდან მოდის ამდენი ფანტაზია, ეს ხომ ჯერ კიდევ სულ ბავშვია!

— მუსიკის გარდა კიდევ რა გიყვარს?

— ყველაფერი მიყვარს, მიყვარს წიგნები, კარგი ლექსები, სპორტი. და კიდევ მინდა გხედავდეთ თქვენ, ვხედავდე დედას, მამას, მასწავლებლებს, მეგობრებს. მე ხომ უსინათლო ვარ.

* * *

სამი წლის ზურიკო საავადმყოფოში წევს. ბავშვს მაინცდამაინც არაფრად მიაჩნია თვალის ჩინის დაკარგვა; მას ჰგონია, რომ თუ სიმღერებს მოისმენს, დედაც გვერდით ეყოლება, პირის გარმონის დაკვრის უფლებასაც მისცემენ, მეტი არაფერი დასჭირდება ამ ქვეყნად. საავადმყოფოში კი სიმღერებიც არის, დედაც არის და, რაც მთავარია, პირის გარმონის დაკვრასაც არავინ უშლის.

შემდეგ გარმონი მეტალოფონით შეიცვალა და უსინათლო ბიჭმა პირველად საავადმყოფოს კედლებში დაუკრა დედისაგან გაგონილი ერთი ძველებური სიმღერა.

მალე ზურაბ ფარემუზაშვილი უსინათლოთა სკოლა-ინტერნატის მოსწავლე გახდა. იგი გატაცებით სწავლობს მშობლიურ ენას ბრაილის ანბანით. თავისუფალ დროს საათობით უზის რადიო-მიმღებს, ისმენს და ოცნებობს; იგი სიზმარშიც ხედავს როიალს, რომელიც, როგორც მამამ უთხრა, თურმე სულ შავია და თვალისმომჭრელად ლაპლაპებს.

და აი, 1962 წლის გაზაფხულზე ზურაბი პირველად წარუდგინეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუსიკალური განყოფილების პედაგოგებს. უსინათლო ბიჭი როიალთან მიიყვანეს. ზურაბმა გაუბედავად დაჰკრა თითი კლავიშებს, რაღაცას დაუწყო ძებნა, იპოვა ერთი, მეორე, მესამე... ისევ თავიდან დაიწყო და თავდავიწყებით ააჟღერა ტკბილი მელოდია.

მეთოდური კომისიის გადაწყვეტილებით ნიჭიერი ბავშვი პედაგოგმა თამარ გეგუჩაძემ აიყვანა. მართალია, ასეთი შემთხვევა პირველი იყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე, მაგრამ გულისხმიერი მასწავლებელი ისე მოხიბლა პატარა უსინათლო ბიჭის ნიჭმა, რომ გადაწყვიტა შებრძოლებოდა ყოველგვარ სიძნელეს.

ორ თვეში ზურაბმა თავისი გასაოცარი მეხსიერების წყალობით ოცი ნაწარმოები შეისწავლა და უკვე მაისში ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში შედგა ნორჩი მუსიკოსის დებიუტი. მან ბრწყინვალედ შეასრულა ორი კლასიკური და ერთი საკუთარი ნაწარმოები „ცხენობანა“. „ცხენობანამ“ თავისი უშუალობით მოხიბლა მსმენელი; პატარა ავტორი ზუსტად გადმოსცემდა ალიონზე სოფლის ორღობეში გაჭენებული ცხენის ფეხის ხმას. დარბაზში დიდხანს არ დამცხრალა ტაში.

1964 წლის 21 მარტს ზურიკო პიონერთა სასახლის თეატრალურ დარბაზში მართავს კონცერტს, სადაც ასრულებს საკუთარი პიესების ციკლს. შემდეგ ზურაბი გამოდის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი გ. აზმაიფარაშვილი).

ნორჩ კომპოზიტორთა რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ზურაბ ფარემუზაშვილმა პირველი პრემია მიიღო, ნორჩ შემსრულებელთა დათვალიერებაზე კი — პირველი ხარისხის დიპლომი.

ახლა ზურიკო მუსიკალური სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეა; აპრილის ბოლო რიცხვებში მან გამართა სოლო კონცერტი, სადაც შეასრულა ბახის პრელუდია და ფუგა, მოცარტის ფანტაზია რე-მინორი, ჰაიდნის ორი სონატა, მენდელსონის კონცერტი სოლ-მინორი და აგრეთვე საკუთარი პიესები.

ციცინო გოჟორიშვილი

# ჩვენი გურამი




„— სროლის ხმა გაიგონე? — ჩამძახის გურამი.

— არა!

— ორჯერ გავარდა!

საძილე ტომარაში გვერდი ვიცვალე.

ახლა ნაგაზის გაბმულმა ყეფამ არ მომასვენა. კარვის სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივები გურამის ნაწოლ ადგილს ეცემოდა. ტომარა ცარიელი იყო.

ქედიდან გადავიხედე... ზურგზე ცხვარწამოკიდებული გურამი ქვევიდან ამოდიოდა, მწყემსს მიუახლოვდა. მათი ბაასი მკაფიოდ მოისმოდა.

— გაიხარე, შვილო! შენ რომ არა, წყეული ქარი ფარას გადამიკარგავდა, ნადირი მაზარალებდა! — ხმამაღლა ემადლიერებოდა ბერიკაცი.

გურამმა ზურგიდან ცხვარი ჩამოსვა.

— დათვს არ გავატანე, მაგრამ გალახულია და ველარ დგება! — ავდრისაგან დასველებული პერანგი მკერდზე მიჰკვროდა გურამს.

მოხუცმა შესძახა:

— შენ ხარ, ბალღო, ჩემი მშველელი, ფარა გადამირჩინე! — მერე თავი აუწია ცხვარს და თვალებში ჩახედა.

— საურჩო არა სჭირს რა, იცოცხლებს!

მოხუცი ბინისაკენ გაგვიძღვა.

— გამჩენის მადლმა, მაგ ცხვრის ნაშენი შენ გეკუთვნის, შენ სახელზე გავზრდი!

— სალზაურს არ გთხოვთ! — თავმდაბლად უპასუხა გალიმებულმა გურამმა.

— რაისთვის არა, წესი — წესია!

თავქვე რომ დავეშვით, მხოლოდ მაშინ შევნიშნე გურამის დაფლეთილი სამოსი, შევეკითხე, მოკლედ მომიჭრა:

— წერაყინი რომ დავკარი, დათვი გამწარდა, მაშინ დამტორა... ვაჟკაცი ყოფილა... მწყემსს კი არ ვუთხარი, შეწუხდებოდა. ჯავრს დავუგდებდით მთაში!“

ეს პატარა, მაგრამ საინტერესო ეპიზოდი ჩვენ ამოვწერეთ გერმანე მირიანაშვილის მოგონებიდან „მეგობრული ჩანახატები“, რომელიც მოთავსებულია ცნობილი ფოტოხელოვანისა და ალპინისტის გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილ კრებულში „მთა და მოყმე“. ეს წიგნი „ნაკადულმა“ გამოსცა. მასში მოთავსებულია ლ. გოთუას, ე. ყიფიანის, ო. გიგინეიშვილის, მ. თომაძის, კ. ჯავრიშვილის, დ. ობოლაძის, გ. მირიანაშვილისა და ვ. წიკლაურის მოგონებები. კრებული ცოცხლად წარმოგვიდგენს თვალწინ დაუდეგარ და დაუცხრომელ ჭაბუკს.

გურამ თიკანაძე არა მარტო გამოცდილი ალპინისტი იყო, არამედ შესანიშნავი ფოტოხელოვანი, მის სურათებზე აღბეჭდილია მთელი მშვენება და სიდიადე საქართველოს მთიანეთის პეიზაჟებისა. მაგრამ მთა მისი ერთადერთი თემა როდი იყო — მას აინტერესებდა ყველაფერი ახალი, ლამაზი, ცოცხალი და თითონაც ამ სილამაზისა და სიკეთის განსახიერება იყო.

კრებულს დიდი ინტერესით წაიკითხავს ჩვენი მკითხველი და კიდევ ერთხელ განიმსჭვალება იმ გულისტკივილით, რომელიც ამ შესანიშნავი ჭაბუკის დაკარგვამ გამოიწვია. ამ წერილს კი დავამთავრებთ იმ ავტორის სიტყვებით, რომლის ნარკვევიც დასაწყისში დავიმოწმეთ: „ახლა, როცა გურამი ჩვენთან მთაში აღარ ამოდის, მაინც ვხედავ მის ღიმილს პირქუშ კლდეებში... ყოველი განთიადისას მყინვარწვერზე ისევ იბადება პირველი სხივი, ბეთლემის ჯაჭვი ისევ ჩხრიალებს, გურამის გადარჩენილმა ცხვარმაც იმატა... მეგობრის მოუსვენლობამ კი ჯავრი დაგვიგდო მთაში“.

თინა ჩიგოგიძე

## ახალი წიგნები



# მედეა კახიძე



## მიყვარს მზე წინანდალისა

მიყვარს მზე წინანდალისა,
ღიმილიანი ღიღილო
და მონასტერი ჯვარისა—
ცერზე შემჯდარი მიმინო.
მზე ყველას ერთი გვქონია,
და ხანი გადის რაც უფრო,
ეს მიწაწყალი მგონია
ყველაზე დიდი საუფლო.
გულს სიხარული ედება
ჯავრი იყო და არც არი,
მიყვარს და მეიმედება
ცა მღიმარიც და გამწყრალიც.
ვარ მზის წყარო და არ ვშრები,
მაქვს დაწმენდილი სიზმრები,
ქვეყნად მით უფრო ვბავშვდებით,
რაც უფრო მეტად ვიზრდებით.
რაც უფრო ხანი გამოდის,
სურო ნანგრევებს შეჰკვნესის,
გზებზე ამოდის ეკლები,
ლიბო ირღვევა ნეკრესის.
მზე ყველას ერთი გვქონია
და ხანი გადის რაც უფრო,
ეს მიწაწყალი მგონია
ყველაზე დიდი საუფლო!



## ხე

ჩემი სახლის წინ იდექი კენტად
ფრთებდაშვებული იალქანივით,
ცისკენ აგეპყრო ხელები ლოცვად,
მთელი ზამთარი იდექი კარში
და ტოტებიდან წვიმის ცრემლები
გცვიოდა, როგორც მწიფე ნაყოფი.
შენ მზე-წვიმაში ეკიდე გარეთ,
მშიერ-მწყურვალი და ძალმიხდილი,
და დარდით ისე დაპატარავდი
არცერთ სულიერს აღარ გვახსოვდი.
და შენ გწყუროდა წყალი კი არა
და შენ გშიოდა პური კი არა,
ან გამვლელების მუნჯი სალამი,
შენ სანატრელი გქონდა ფოთლები,
ლურჯი ზეცა და მიწის ალმური.
შენ თხოულობდი მზესა და ღიმილს,
მუნჯი ტოტების ამეტყველებას.
გენატრებოდა რომ შენს ტოტებზე —
დარხეულიყო როგორც ფოთლები
გოგო-ბიჭების ჟივილ-ხივილი.
შენ მზეწვიმაში, იდექი თუმცა,
მე კი დარში და უავდრობაში,
მთელი ზამთარი თბილად ვიყავი.
მაინც შენსავით ვიდექი კენტად
მარტოსული და ჩადარდებული
ჩემს დაყრუებულ კარმიდამოში,
ვით წვიმის წვეთი დაგვალულ მიწას,
მენატრებოდა ხმები ბავშვების.
ახლა მზე თავის ფეხით შემოდის
ჩემს ეზო-კარში და ფანჯარაში,
და ცხელი მზით და სიმწვანით გვავსებს.
შენს ლურჯ ფოთლებში წვიმის წყალივით
წკარუნობს ჩემი გოგოს სიცილი.
ჩვენს შორის არის ბევრი საერთო,
ჩვენს შორის არის მსგავსება დიდი,
ჩვენ ერთნაირად ვზრდიდით იმედებს.
და ვთხოულობდით მზესა და ღიმილს.
ახლა ჩვენ სახეგამდიდრებულნი
ვდგავართ და ზეცას ვეპოტინებით,
მხრები ცათამდე აგვიწვდენია
და ჩანჩქერივით ხმაურობს გული.
და ერთნაირი იმედით გვავსებს
ეს სიმწვანე და ბავშვის ჟღურტული!



## რომ სასხვისოდ აღარ იქცეს

ჩემი ტკბილი დედულეთი,
მთების ძირში მინაბული...
მუდამ ჩემად მეგულები,
შენი ზღვით და მზიან გულით.
ყველა შენ ერთს გაწამებდა,
შენს მადლიან ჰალას ვნებდა,
მომხდურისგან გაწყდა ველზე
ჰრიჰინების ჰაჰანებაც;
მიწა ჩემი ხელით მიხნავს,
სისხლი ვღვარე ძალზე ბევრი,
რომ მე თვითონ ვყოფილიყავ
ჩემივ მიწის მბრძანებელი.
ჩემი ხმლით და სიჩაუქით
მიწას ბევრჯერ შევესხლიტე,
რომ ჩვენ არა, მიწას მუჰით
გაზიდავდნენ ბევრჯერ კიდეც.

გული ტყვიამ გამიმჭვალა,
ჩემს გზას გაჰყვა შავი ცხენი,
შენი ტყე და შენი ჰალა
მრავალ ასჯერ დავიხსენი.
ალაზნის ველს მომხდურს ფარად
ვუხვედრებდით წინაპრები,
არ ვაგდებდით სიკვდილს არად,
მტრისკენ ტყვიებს მივაფრენდით;
გამოვზარდე ჩემს მკერდით
ცხრა ძმა ხერხეულიძენი
და ჩემს მიწას ჩემივ ძენი —
ჩემივ ხელით მივუძღვენი.
შევუკერე ალაზნის ველს
წითლად ჭრელი სამკერდული,
მე აღვსდექი მკვდრეთით ისევ
და ჩემს სვებედს არ ვემდური.
ამ მზით თვალებს მისთვის ვივსებ,
ქვეყნად მიტომ ვიკვირტები,
რომ სასხვისოდ აღარ იქცეს
ჩემი მზე და დიდი მთები!



## სინდიურიძის მაღალი კლდე

სინდიურიძე, ნადირს შეჰყოლია, ნადირი კი დაუხელთია, მაგრამ შინ მომავალს გზა ველარ გაუგნია და ზვავს დაუტანია.

**ხევსურული თქმულება.**

სინდიურიძის მაღალო,
თვალშეუდგამო კლდევ,
სინდიურიძის მაღალო,
ცოდვა რამ ბრალი გდევს.
რა უყავ, ბიჭი მაღალი,
უპოვარი და მხნე,
რად გამოახმე უდროოდ
მისი სიცოცხლის ხე.
რად არ შეუნდე მხნეობა,
ტოლებში მჯობნის მჯობს,
რა გრჯიდა წამოსწეოდა,
ხარი ჯიხვების ჯოგს.
მოუმესა დასადაფნავსა,
რად ჩაუხერგე გზა,
არცა საფლავი აღირსე,
არცა სამარის ქვა.
სინდიურიძის მაღალო,
თარსო ჭიუხის კლდევ,
მთაო, ნისლშემონაყარო
ღმერთი, რამ ბრალსა გდებს!
რა გრჯიდა წამოსწეოდა
ხარსა მყვირალსა მთას,
ეგ ცუდუბრალო მტერობა,
რად დაატეხე თავს,
მაინც ეგ შენი სიავე
შიშით სად უნდა თქვა!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინო მასწავლებლის ველებში

ალიონი იყო, როცა დვაბზუში ამოვედით, კოლმეურნეობის კანტორაში ვსხედვართ და თავმჯდომარეს ვთხოვთ დაგვისახელოს ყველაზე მოწინავე მეჩაიე.

— ძნელი საქმე დამაკისრეთ, ძალიან ძნელი! — გვეუბნება თავმჯდომარე და ცოტა ხნის შემდეგ უმატებს, — რახან არ იშლით, ადექით და, კოლმეურნეობის ყველა მოწინავე მეჩაიეს სახელით, ნაზი ღლონტზე დაწერეთ ნარკვევი!..

— ლენა ღლონტმა რაღა დააშავა, ბატონო?

თავმჯდომარემ შემოსასვლელთან გაჩერებულ ბუღალტერს გახედა და ყოყმანით თქვა:

— მაშინ ლილი ხაჟომია იყოს!

— ხაჟომია კარგია, მაგრამ არც გოგუაძე ჩამორჩება!... ან იონა სიხარულიძე რად გავიწყდებათ, შოთა ბატონო? — წინ წამომდგარი ბუღალტერი ისევ რიხით აწყვეტინებს სიტყვას თავმჯდომარეს.

— რახან ასეა, მაშინ გოლიაძე შევთავაზოთ!

— მედეა ღლონტმა შარშან ნაკლები საქმე გააკეთა თუ?..

კამათი გრძელდება, ცოტა ხნის შემდეგ კმაყოფილები გამოვდივართ კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტიდან. ჩვენი მანქანა მოშრიალე ხეივნებით დაბურულ გზაზე მიქრის. წინ მწვანედ მოხასხასე პლანტაციები იშლება.

მზე უკვე მაღლა წამოსულა. თანდათან ცხება. მანქანა სწრაფად უვლის გვერდს გზაზე ყიყინით მომავალ ბატებს და დვაბზუს საშუალო სკოლის შენობასთან ჩერდება.

ალბათ გაგიკვირდებათ, კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიეების ძებნაში სკოლის შენობასთან რატომ ამოვყავით თავი? ჩვენ არც გზა შეგვშლია და არც სხვა რაიმე საქმეზე ამოვსულვართ აქ. მეორე კლასის მასწავლებელი ნინო უნგიაძე უკვე კარგა ხანია, რაც თავის საკლასო ოთახში გველოდება.

ნინო მასწავლებელი ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა მთელ სოფელში, რომელზეც უყოყმანოდ შეთანხმდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბუღალტერი. ის კი არა და, კამათის ხასიათზე მოსულმა ბუღალტერმა როგორც კი „ნინო მასწავლებლის" სახელი გაიგო, მაშინვე მოტყდა და კმაყოფილი ხმით ჩაილაპარაკა:

— კოლმეურნეობაში ბევრი მეჩაიე უფრო მეტ ფოთოლს კრეფს, ვიდრე ნინო უნგიაძე, მაგრამ ამჯერად მაინც მასზე უნდა დასწეროთ რამე... წადით, თქვენი თვალით გაეცანით მის მუშაობას...

იცით, როგორ უყვართ დვაბზუში „ნინო მასწავლებელი"! როგორი პატივისცემითა და მოწიწებით ახსენებენ მის სახელს!

როცა სოფელში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება დაიწყეს და ნინომ შეიტყო, რომ მუშახელი აკლიათ, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეახლა და პლანტაციებში მუშაობის ნებართვა ითხოვა.

იმ დღიდან დაიწყო „ნინო მასწავლებელმა" ჩაიში მუშაობა. ახლა ამ სათნოსახიანი, ჭაღარაშერეული მასწავლებლის სახელი რაიონის „შრომის დიდების წიგნშია" შეტანილი.

ოჯახის, სკოლისა და თავისი პლანტაციის გარეშე ნინოს ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია. ის მკრეფავიც არის, აგიტატორიც და პირველი ბრიგადის საველე გაზეთის რედაქტორიც. მის ოჯახში უკანასკნელ წლებში გამოსული საველე გაზეთების 520 ნომერი ინახება.

ნინო მასწავლებელი ზოგიერთი მოხალისესავით მარტო გაჭირვების დროს კი არ ახმარს ხელს კოლმეურნეებს! მას თავისი საკუთარი ნაკვეთი აქვს გაპიროვნებული, რომელსაც მზრუნველობით დასტრიალებს თავზე. შარშან გეგმით გათვალისწინებული 835 კილოგრამის ნაცვლად 1.400 კილოგრამი ჩაი ჩააბარა სახელმწიფოს. ესეც ცოტაა! ნინო უნგიაძეს წელს კიდევ უფრო მეტის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილი. დაათვალიერებთ მის სანიმუშოდ მოვლილ პლანტაციას და ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ სახელოვანი მასწავლებელი აუცილებლად შეასრულებს თავის პირობას!

— რამდენი კილოგრამის მოკრეფა გაქვთ გადაწყვეტილი წელს?

— სალაპარაკოდ არც ღირს... შევეცდები, როგორმე ორი ტონა ნედლეული მაინც წავუმატო საერთო ხვავს...

ისევ გვახსენდება კოლმეურნეობის თავმჯდომარის სიტყვები:

— იმ ამაგის შემდეგ, რასაც ნინო უნგიაძე ჩვენს სოფელს სდებს, მის მიერ მოკრეფილი ყოველი კილოგრამი ჩაი, სულ ცოტა, ათ კილოგრამს მაინც უდრის!..

და მართლაც, ამ შემთხვევაში ციფრები როდია მთავარი! ის სიყვარული, ის ღვაწლი და ამაგი, რაც ნინო მასწავლებელმა დასდო სოფელს — განუზომელი და ფასდაუდებელი.

**ა. ხომერიკი**

# ერთი ფოტოსურათის გამო

ჟურნალი „დროშის" მესამე ნომერში გამოქვეყნებული იყო ჯგუფური ფოტოსურათი, სადაც ცენტრში დგას გამოჩენილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი. რედაქციას სურდა დაეზუსტებინა თუ სად, როდის და რა ვითარებაშია გადაღებული ეს სურათი.

1927 წლის ზაფხულის ბოლო იყო. თბილისში ცნობა მოვიდა, რომ საქართველოში ანრი ბარბიუსი მოემგზავრებოდა; ის აქ ვლადიკავკავზე (ახლანდელი ქ. ორჯონიკიძეზე) გამოვლით უნდა ჩამოსულიყო.

ვლადიკავკავში განთქმული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შესახვედრად თბილისიდან ავტომანქანებით გაემგზავრა სპეციალური დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ საქართველოს ცაკის მდივანი სილვა თოდრია, პავლე იაშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ჩემი მეუღლე არჩილ მიქაძე (არჩილი იმ დროს შრომის სახალხო კომისარი იყო) და მე.

ჩავედით თუ არა კავკავში, მაშინვე აეროდრომისაკენ გავსწიეთ. სულ მალე თვითმფრინავიც დაეშვა, ჩვენ ყვავილებით შევეგებეთ სტუმარს. ბარბიუსს თან ახლდა მისივე პირადი მდივანი, ახალგაზრდა ქალი სიუზანა დიუმა. ცოტა არ იყოს, შეცბუნებულნი დავრჩით, იმიტომ, რომ ბარბიუსი ვერ გამოიყურებოდა კარგად. ის ხომ ჭლექით იყო ავად და მგზავრობას ისე დაესუსტებინა, როგორც ჩვენ გვეჩვენა, ფეხზე ძლივს იდგა. მაშინვე ის გავიფიქრე — რა გვეშველება, ეს კაცი თბილისში როგორ უნდა ჩავიყვანოთ-მეთქი. მაინც არაფერი შევამჩნევინეთ, მივეგებეთ და სასტუმროსკენ წავიყვანეთ...

როგორც იყო, საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ წამოვედით. ბარბიუსი გზაში ყველაფერს გულდასმით ათვალიერებდა და ყოველ წვრილმანს გამოგვკითხავდა. ოღონდ ეს იყო, დარიალის კარში გამოვლისას გაჩუმდა და გაოცებული შესცქეროდა ცაში გადმოკიდებულ კლდეებს. მაშინ დარიალს უფრო ფანტასტიკური შესახედაობა ჰქონდა — გზის უსაფრთხოების მიზნით ის კლდეები შემდგომში ააფეთქეს.

ასე ჩამოვედით ყაზბეგში. აქ ბარბიუსმა ძლიერ განგვაცვიფრა — მოითხოვა, გინდათ თუ არა, უკანვე დავბრუნდეთ, ვლადიკავკავში, ჩემს სიცოცხლეში ამ გზის მსგავსი არაფერი არ მინახავს, ხელახლა უნდა ვნახოო...

ესეც შენი მისუსტებული ავადმყოფი, ჩვენ კი გვეშინოდა — ხელში არ შემოგვაკვდესო — თურმე ჭაბუკური ენერგიით და ხალისით სავსე ყოფილა.

დავბრუნდით უკან და ხელმეორედ გამოვყევით დარიალის ხეობას, გადარეული და შფოთიანი თერგის ხანაპიროებს.

— ასეთი რამ მე არასოდეს მინახავს! — ვინ მოსთვლის მერამდენჯერ იმეორებდა იგი.

კავკავში უკან მიბრუნების გამო შევაგვიანდა და ფასანაურში რომ ჩამოვედით, ღამემ მოგვისწრო.

მეორე დილით თბილისისაკენ წამოვედით. რაც შეეხება ბარბიუსის საქართველოში ჩამოსვლის მიზნებს და მის აქ ყოფნას, ამის შესახებ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლიან საჭირო ცნობები მიიღოს ვლ. მაჭავარიანის წიგნში „პუბლიცისტის დღიურიდან" (გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1961 წ. გვ. 88-89).

ახლა „დროშაში" გამოქვეყნებული სურათის შესახებ: იგი ქ. ორჯონიკიძეშია გადაღებული. ბარბიუსის აქეთ-იქით დგანან სიუზანა დიუმა და პაოლო იაშვილი, ცოტა მოშორებით, სილვა თოდრია, მარჯვნიდან მეორე — ორჯონიკიძის ქალაქის საბჭოს იმდროინდელი თავმჯდომარე (გვარი არ მახსოვს).

**რაისა მიქაძე**



# უკარნახებს გული

თქვენ ყველანი კარგად იცნობთ მას: მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მისი გვარი არ მოშორებია ჩვენი ჟურნალ-გაზეთის ფურცლებს. შეუძლებელია არ წაგეკითხოთ და არ გახსოვდეთ მისი რეპორტაჟები, ნარკვევები, პუბლიცისტური წერილები.

დიმიტრი ლომთაძე ჩვენი დღეების ნამდვილი მემატიანეა. არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, რომელსაც მისი კალამი არ შეხებოდეს. ის იყო ავტორი რეპორტაჟებისა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობათა ხარაჩოებიდან; ეს მან გვაუწყა და გვახარა პირველად ახალი ქალაქის საფუძვლის ჩაყრა ძველ ნაქალაქარზე — რუსთავში, სამგორის სარწყავი სისტემის მწყობრში ჩადგომა, პირველი ქართული ავტომობილის კონვეიერიდან გადმოსვლა და ვინ მოთვლის კიდევ რა...

ახლა ის სამოცდახუთი წლისაა, მაგრამ ჯერ ისევ ჭარმაგი და ენერგიით აღსავსეა. თუმცა პენსიაზეა, რედაქციას მაინც ვერ შელევია.

რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ ერთად ვმუშაობდით გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში (სხვაგან მას საერთოდ არც უმუშავნია), და იგი ყოველთვის ჩვენი მასწავლებელი და ყველაფერში მაგალითის მიმცემი იყო.

მინდა მოგითხროთ ერთი პატარა ამბავი, რომელიც დღემდე მხოლოდ ჩვენ ორმა — მე და მან ვიცით.

რედაქციაში საჩივარი მივიღეთ. უჩიოდნენ უსულგულო ქალიშვილებს, რომლებმაც გაძარცვეს მოხუცი მამა და უპატრონოდ მიატოვეს.

ჩიოდა არა თვით მოხუცი, არამედ მისი მეზობლები, რომლებიც ამ ამბის მოწმენი იყვნენ.

დიმიტრის ვთხოვე და ერთად ჩავედით სოფელში საჩივრის შესამოწმებლად.

დილაადრიან მივადექით მოხუცის კარმიდამოს. მაისი იყო. ეზოში, ნასახლარზე, ბუხრის ნანგრევები და თლილი ქვის მაღალი კიბე დარჩენილიყო. იქვე კიბესთან ფიცრული ქოხი მიეშენებინათ, ჯიხურისნაირი. კიბეზე იჯდა მოხუცი, გულმკერდზე დაფენილი თეთრი წვერით.

არ გვინდოდა ჩვენი მისვლის მიზეზი პირდაპირ მიგვეხალა, შორიდან დავიწყეთ, მიკიბულ-მოკიბულად. ამიტომ მან მარანში დარჩენილი ძველი ქვევრების მუშტრად ჩაგვთვალა.

— ჩემმა ქალიშვილებმა გამოგგზავნეს? წაიღეთ, შვილო, ეს ორი ჰურიღა დარჩა და წაიღეთ, თუ კი ამოიღებთ და გამოგადგებათ. ძველია, პაპაჩემის ჩაგდებულია. რაფ მინდა! ვენახიც გამიპარტახდა. ბიჭები თუ ჩამოვიდნენ, ვაზსაც ახალს ჩაყრიან და ჰურებსაც, თუ არა და...

ეტყობოდა მოხუცი ჩვეული იყო ამ თემაზე ლაპარაკს, მშვიდად და დალაგებით ლაპარაკობდა. მაგრამ ჩვენ ვიცოდით მისი ოჯახის ნაღვლიანი ისტორია და შეუძლებელი იყო გულგრილად მოგვესმინა მისთვის.

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს იყო მამა ფრონტზე დაღუპული ოთხი ვაჟკაცისა, ეს იყო მამა ორი ქალიშვილისა, რომლებმაც გაიყვეს მამისეული სახლკარი, მამაპაპეულ ფუძეს და კერას მაინც ვერ მოწყვიტეს მოხუცი.

ვიცოდით ეს და მოწიწებით შევყურებდით მოხუცის მკერდზე დაფენილ თოვლივით წვერს.

ალბათ ასევე იჯდა ის ამავე კიბეზე ამ ორმოციოდე წლის წინათ, ყანიდან შინ მობრუნებული, ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე, იჯდა და ვახშმის მოლოდინში ხან სამზადში მოფუსფუსე ცოლს გახედავდა, ხანაც ეზოში მოთამაშე ბიჭებს შესცქეროდა სიყვარულით. „ჩემი ვაჟკაცები, ჩემი ვაჟკაცები",—სიხარულით რეკდა გული.

ამავე კიბეზე იჯდა იგი საღამოობით ომის დროსაც, ჯერაც ჭარმაგი და გაუტეხავი, და ჭიშკარზე თვალმიცეცებული ფოსტალიონის გამოჩენას ელოდა.

ამ კიბეზე იჯდა ომის შემდეგაც, როცა ქალიშვილები დათხოვდნენ, ცოლიც ცოცხალი აღარა ჰყავდა და მარტოდმარტო დარჩა... იჯდა და ელოდა შვილების დაბრუნებას.

თურმე ასევე იჯდა იმ დღესაც, როცა მისი ოდა-სახლი დაშალეს და წაიღეს.

ამავე კიბის ნანგრევზე ზის ახლაც რაღაცის იმედით და მოლოდინით...

მერე მისი ქალიშვილებიც ვნახეთ, „ღმერთია მოწამე, ჩვენ მისთვის ლუკმა-პური არ გვენანება. რას ჩასციებია იქაურობას, კარი გვაქვს, სახლი გვაქვს, განა ჩვენთან არ შეიძლება ცხოვრებაო", გვითხრეს მათ.

ეს იყო და ეს. მე მეგონა საუკეთესო საგაზეთო მასალა ჩაგვივარდა ხელში-მეთქი და დიტოს ვთხოვე ერთად დაგვეწერა წერილი.

მან უარი მითხრა:

— არა, ამ წერილს მე ხელს ვერ მოვაწერ.

მე შეცბუნებული და ცოტა არ იყოს, ნაწყენიც დავრჩი. „იუკადრისა ჩემი თანაავტორობა. არ უნდა გავკადნიერებულიყავი, სად ისა და სად მე, ჯერ გამოუცდელი ჟურნალისტი", — ვკიცხავდი ჩემს თავს.

გული გამიტყდა, მაგრამ მოხუცის ამბავი ძალიან მაღელვებდა და წერილი მაინც დავწერე გაზეთისათვის.

პირველად, რა თქმა უნდა დიმიტრის წავაკითხე. უნდა გამოვტყდე, კმაყოფილი ვიყავი ჩემი ნამუშევრით და მღელვარებით მოველოდი უფროსი ამხანაგის მსჯავრს.

და როგორ შევწუხდი, როცა მოულოდნელად მან კვლავ ცივი წყალი გადამასხა.

— კარგი დაწერილია, მაგრამ, მე თუ მკითხავ, ამ წერილის გამოქვეყნებას არ გირჩევ.

— რატომ, მე ხომ სიმართლე დავწერე. თქვენ ხომ იცით, თვითონვე ნახეთ,—შევეკამათე მე—შემიძლია მთელი სოფელი დავიმოწმო, რომ ქალიშვილები მართლაც უსამართლოდ ექცევიან მამას.

— შეიძლება,—მითხრა მან,—მაგრამ მარტო ეს ხომ არ არის მთავარი, წერილის შედეგებზეც უნდა იფიქრო. ამ მასალაზე შეიძლება კარგი მოთხრობა დაიწეროს, მაგრამ როცა საქმე ცოცხალ ადამიანებს ეხება, მეტი სიფრთხილეა საჭირო. ჟურნალისტმა, უწინარეს ყოვლისა, იმათზე უნდა იფიქროს, ვისზეც წერს, და არა თავის ნაწარმოების წარმატებაზე.

არ დავუჯერე და რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი წერილი მოხუცსა და მის გულქვა ქალიშვილებზე გაზეთში გამოქვეყნდა.

და იცით რა მოჰყვა ამას?

ერთი კვირის შემდეგ რედაქციაში საჩივარი მოვიდა.

თვით მოხუცი ჩიოდა.

იგი ავტორისადმი სამდურავს გამოთქვამდა, მისი ოჯახისა და ქალიშვილების უდიერად მოხსენიებისათვის — ჩემისთანა მოსიყვარულე და მზრუნველი შვილები ღმერთმა ყველას მისცესო.

ამას როგორ ვიფიქრებდი! მაშინვე დიტო ლომთაძის დარიგება გამახსენდა: მართლაც რამდენი დაკვირვება, გულისხმიერება, სიფრთხილეა საჭირო, ცოცხალ ადამიანებზე რომ სწერ!

მერეც დიდხანს ვფიქრობდი ამ შემთხვევის გამო და ბოლოს მივხვდი, რომ სწორედ გულმა უკარნახა დიმიტრის — ამ ამბავზე წერა არ შეიძლებაო, იმასაც მივხვდი, თუ რატომ არის ლომთაძის ნარკვევები ასე მიმზიდველი და გულშიჩამწვდომი!

ის წერს როგორც სიხარულის ამოძახილი, ან კვნესა აღმოგვხდება ხოლმე, და ალბათ მას ერთხელაც არ განუზრახავს „კარგი" ნარკვევის, „კარგი" სტატიის, „კარგი" რეპორტაჟის დაწერა. ის წერს ადამიანებისადმი იმ დიდი სიყვარულის გამო, რომლითაც ასე სავსეა მისი გული და ურომლისოდაც სიტყვა უფერთოა.

**მიხეილ მიქაძე**

საქ. სსრ კ. მარქსის

# 35 წელი მარჯვენა ფრთაზე

## სტენლი მეთიუზი

— ყური დამიგდე, შვილო, — მითხრა ერთხელ მამამ,— მგონი ისე მოვკვდები, რომ ვერ მოვესწრები იმ დღეს, როცა შენ, ამხანაგებთან ერთად, „უემბლის“ სტადიონზე თასის ფინალში გამოხვალ და გამარჯვებულის მედალს ხელთ იგდებ... იქამდე, ვიცი, შენს ჭირს წავიღებ, მაგრამ დამპირდი მაინც, რომ ფეხბურთს თავს არ დაანებებ, სანამ „უემბლიზე“ თასს არ მოიპოვებ.

მე, რა თქმა უნდა, აღვუთქვი, რომ ამ სურვილს შეგისრულებ-მეთქი. გულზე ხელი რომ დავიდო, ეს ჩემი ოცნებაც გახლდათ, მაგრამ მაშინ ფიქრადაც ვერ გავივლებდი, რომ გავიდოდა წლები და ბარე სამჯერ მომიხდებოდა ინგლისის თასის ფინალში გამოსვლა.

### 1. მშენებელი თუ პარიკმახერი

მამაჩემი და მე ყოველთვის როდი ვიყავით შეხმატკბილებული. კარგად მახსოვს ის დღეები, როცა ცამეტი წლისა შევსრულდი. მაშინ ველინგტონის სკოლაში ვსწავლობდი. სკოლის დამთავრებას ერთი წელი მიკლდა, მერე კი რაიმე სამუშაო უნდა მომეძებნა და ლუკმაპური ჩემი შრომით მომეპოვებინა.

მაინც რისთვის უნდა მომეკიდა ხელი?

ჩემი ერთადერთი სურვილი ფეხბურთის თამაში იყო, სხვა აზრი თავში არც მომდიოდა.

მაგრამ მამაჩემს მოეწონება ჩემი არჩევანი? — შიშით ვეკითხებოდი ჩემს თავს. მამა კრივის დიდი მოტრფიალე იყო და ამ საქმის გვარიან სპეციალისტადაც ითვლებოდა, მაგრამ გუმანით იმასაც ვხვდებოდი, რომ მამას უკვე გულში ჰქონდა, ბიჭს ჩემს საპარიკმახეროში დავიხმარებო. მამა არც იმაზე იტყოდა უარს, საამშენებლოზე რომ შევსულიყავი. ისე, სად მშენებლის პერსპექტივა და სად საპარიკმახერო! მშენებელი კაცი სუფთა ჰაერზე მაინც მუშაობს, საპარიკმახერო სალონში კი სული უნდა შეგეხუთოს. მაგრამ ჩემი ყველაზე სანუკვარი ფიქრები სულ სხვა რამეს დასტრიალებდნენ...

ერთი სული მქონდა, სანამ ჩვიდმეტის შევსრულდებოდი. მაშინ კი შევძლებდი მშობლების სახლი მიმეტოვებინა და თავი რომელიმე პროფესიულ კლუბში ამომეყო. ფეხბურთზე ფიქრში ვათენებდი და ვაღამებდი. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად მეჩვენებოდა, რომ მამაჩემი თავზე სულთამხუთავივით მედგა და ჩემს „პირად თავისუფლებას“ საფრთხე ემუქრებოდა. მხოლოდ ის მამშვიდებდა, რომ დედაჩემი საიდუმლო მოკავშირედ მეგულებოდა.

ერთ დილას თავი განსაკუთრებით ცუდად ვიგრძენი. წვრთნის შემდეგ შინ დავბრუნდი (მამაჩემი ხომ ყოველ დილას კრივში მავარჯიშებდა). სკამზე ჩამოვჯექი, მაგრამ თავი ველარ შევიმაგრე და იატაკზე ბრაგვანი მოვადინე. დედას შიშისაგან გული გადაუტრიალდა, წამოდგომაში მომეშველა და ლოგინში ჩამაწვინა. როცა შინ დაბრუნებულმა მამამ მიკითხა, დედაჩემმა ყველაფერი დაწვრილებით ჩაუკაკლა და მერე სერიოზულად დაუწყო ლაპარაკი.

— გამიგონე, ჯეკ მეტიუზ! აქამდე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ახლა კი საბოლოოდ უნდა მოგელაპარაკო. როდემდე გინდა ბიჭი კრივით გააწამო? ვერ გაიგე, რომ სტენლის მოკრივედ გახდომა არ უნდა?! დღეის ამას იქით ჩემს ოჯახში კრივის ხსენება აღარ იყოს.

მამას ხმა არ ამოუღია.

— სტენლის სულით და გულით უნდა ფეხბურთელი გახდეს, — განაგრძო დედამ, — დღეიდან არაფერს არ დავზოგავ, რომ ბიჭმა თავის საწადელი შეისრულოს, იმედი მაქვს, შენც მხარში ამოგვიდგები.

— არ შემიძლია, გესმის, არა,—უპასუხა მამამ.— კარგი და პატიოსანი, ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს სტენლი პროფესიული ფეხბურთელი გახდა. მერე, აქედან რა გამოვა? უკეთეს შემთხვევაში, თავის კარიერას ოცდაათი წლისა დაასრულებს, ხომ? მერე რილათი უნდა იცხოვროს?

ჩემი მშობლები დიდხანს კამათობდნენ. ბოლოს და ბოლოს მამამ ფარხმალი დაყარა: თუ სტენლი ინგლისის სასკოლო ნაკრებში თამაშის უფლებას მოიპოვებს და სკოლასაც წარმატებით დაამთავრებს, მაშინ მეც მოვეხმარებიო. მისი სიტყვები ჩემთვის უებარი წამალი იყო. ახლა ხელს აღარაფერი შემიშლიდა. შემეძლო, ფეხბურთის წვრთნაზე მევლო.

აქამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ ინგლისის სასკოლო ნაკრებში მოხვედრა შემეძლო. მონდომებით შევუდექი ვარჯიშს, მთელს ენერგიას ბურთის დაუფლებას ვანდომებდი. მიზანი დასახული მქონდა: ბურთი ჩემი მონა-მორჩილი უნდა გახდეს. როცა რაიმე ტექნიკური ილეთი არ გამომდიოდა, ეზოში ან მოედანზე ხელახლა გავდიოდი, საათობით, ხანდახან მთელი დღეც ვვარჯიშობდი, სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ მიზანს მივაღწიე. ასე თავდავიწყებით ვვარჯიშობდი, სასკოლო გუნდშიც მუდამ გამოვდიოდი. მამის პირობა არ მავიწყდებოდა — ინგლისის სასკოლო ნაკრებ გუნდში უნდა მოვმხვდარიყავი. თუმცა არც კი ვიცოდი ამ სანუკვარი მიზნისათვის რა გზით მიმეღწია. მაშინ აზრზედაც კი არ ვიყავი, რომ ნაკრების სელექციონერებს უკვე ნიშანში ვყავდი ამოღებული.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ სხვა ბავშვები ჩემსავით ადრე არ დგებოდნენ და მამის ხელმძღვანელობით წვრთნაზე თავს არ იკლავდნენ. მაგრამ სკოლაში ბეჯითმა სწავლამ და გულმოდგინე წვრთნამ შემდგომში მთლიანად ამინაზღაურა ბავშვობაში დაკლებული სიამოვნებანი.

ერთ დღეს ჩვენმა კლასორგმა მითხრა, დირექტორი რაღაც მნიშვნელოვანი საქმისათვის გიბარებსო... ნეტავ რა დავაშავე-მეთქი, ვფიქრობდი და დირექტორის კაბინეტის წინ ატუზულს შიშისაგან გული მიფანცქალებდა. ოთახში რომ შევაბიჯე, მომეჩვენა სადღაც უზარმაზარ, ნისლში ჩაფლულ დარბაზში ვარ-მეთქი. მთლად აკანკალებულმა, დირექტორის ხმა გავიგონე:

— როგორა ხარ, სტენლი? მოსალოცად გაქვს საქმე! დღეს მაცნობეს, რომ მოსწავლეთა ეროვნულ ნაკრებში ხარ შეყვანილი, ბორნემუტში უნდა გამოხვიდე უელსის ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი სამი კვირის შემდეგაა დანიშნული. აბა რას მეტყვი ამაზე?

ყურს არ დავუჯერე. სახეზე სისხლი შემომაწვა. ტუჩები გამიშრა. გაოგნებული ვიდექი. დიდი გაჭირვებით გავაღე პირი, რომ დირექტორისათვის მადლობა გადამეხადა და ერთი ჭიქა წყალი მეთხოვა. როცა წყალი მოვსვი და გული საგულეს ჩამივარდა, დირექტორმა დასძინა:

— კიდევ ერთი მოულოდნელი ამბავი მაქვს შენთვის: გადაწყვეტილია, მარჯვენა ფრთაზე გათამაშონ.

— მარჯვენა ფრთაზე? ვაი თუ ვერ შევძლო, მარჯვენა ფრთაზე ხომ არასოდეს მითამაშია.

დირექტორი მაგიდას მიუჯდა და მითხრა:

— მე ვფიქრობ, გაამართლებ ჩვენს იმედებს. ახლა კი შინ გაიქეცი და ეს კარგი ამბავი მშობლებსაც ახარე.

სახლში კი არ მივედი, მივფრინდი. ჩვენები სუფრას უსხდნენ და ჩაის მიირთმევდნენ. ჩემს დანახვაზე დედა შეშფოთებული წამოხტა: „რა იყო, სტენლი?“ როცა ჩემი არეული სახე დაინახა, იფიქრა რაღაც ცუდ ამბავს ვიტყოდი. დედაჩემს ხელი მოვკიდე და სიზმარში მყოფივით, ძლივს ამოვილუღლუღე:

— ინგლისის მოსწავლეთა ნაკრებში შემიყვანეს, უელსთან მატჩში მარჯვენა ფრთაზე ვითამაშებ — მერე ხმა მოვიმაგრე და ამაყად ვუთხარი მამაჩემს:

— ახლა რაღას იტყვი? მაქვს თუ არა შანსი პროფესიონალი გავხდე? ახლა, მე მგონი, შეასრულებ შენს დანაპირებს.

მამა წამოდგა, მოვიდა და გულში ჩამიკრა. მღელვარებამ შეიპყრო, სიხარული ვეღარ დამალა:

— გესმის დედა? ჩვენი სტენლი უკვე ნაკრებშია. ყველაფერი რიგზეა, შვილო...

მამამ თვითონ გამაცილა სადგურზე. გამომშვიდობებისას მითხრა — ახლა შენ იცი და შენმა ბიჭობამო.

სადგურის ბაქანი თითქმის თვალს მიეფარა, მაგრამ მე მამას კიდევ კარგა ხანს ვხედავდი, იგი ხელს გულდაგულ მიქნევდა, ისიც კი მომეჩვენა, თითქოს თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა...

ლონდონში ჩასვლამდე მამის სიტყვები თავიდან არ მშორდებოდა: „შენ იცი და შენმა ბიჭობამო“.

ბოლოს დადგა წუთი, როცა სხვა ბიჭებთან ერთად, ბორნემუტის სტადიონზე გამოვედი. განა შეიძლება რაიმეს შეადარო ის გრძნობა, როცა ფეხქვეშ ნამდვილი ფეხბურთის მოედნის მწვანე ბალახს იგრძნობ?

ჩემს სიცოცხლეში პირველად გამოვედი ამოდენა სტადიონის მინდორზე. როცა პირველი ნაბიჯები გადავდგი, ვიგრძენი, რომ მხოლოდ ფეხბურთი იყო ჩემი მომავალი, სხვა დანარჩენ ხელობას ჩემთვის კაპიკის ფასი ჰქონდა. სიხარულისა და ბედნიერებისაგან, პირდაპირ, სიმღერა მინდოდა...

შეხვედრა 4 : 1 მოვიგეთ, თუმცა მე არც ერთი ბურთი არ გამიტანია, მაგრამ საერთო აზრით, მე ჩინებულად ვითამაშე.

მატჩის წინ მშობლებს ვთხოვე, ჩემი პირველი ოფიციალური თამაშის საყურებლად არ ჩამოსულიყვნენ. როცა შეხვედრა დამთავრდა, მაშინ კი ვინანე, რომ ჩემი მშობლები არ იყვნენ სტადიონის ტრიბუნებზე. უკვე ჩაცმული ვიყავი, როცა სტადიონის ერთმა მოსამსახურემ მითხრა, გასასვლელთან ვიღაც კაცი გელოდებათ. ის კაცი მამაჩემი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კლუბ „სტოკ-სიტის“ მენაჯერმა ტომ მატერმა მამაჩემის საპარიკმახეროში სიარულს მოუხშირა. მისი ვიზიტები არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მატერი ჰყვებოდა ათას რამეს და მამას სიტყვას ჩემს საფეხბურთო მომავალზე ჩამოუგდებდა ხოლმე. მამა მენაჯერს ყურს ჩუმათ უგდებდა. იგი ბაიბურშიაც არ იყო, უკვე ბევრი კლუბის ხელმძღვანელს ვყავდი შემჩნეული და ჩემი ბედით ბევრი იყო დაინტერესებული.

სკოლის დამთავრებამდე რამდენიმე კვირაღა რჩებოდა. სანამ ჩვენი ძველებური სკოლის შენობას სამუდამოდ დავტოვებდი, ძალიან მინდოდა ინგლისის სასკოლო ნაკრებში ერთხელ კიდევ ამომეყო თავი. იმ დღეებში ინგლისის სასკოლო ნაკრები გლაზგოში შოტლანდიის ნაკრებს უნდა შეხვედროდა, ცნობილ „ჰემპდენ-პარკის“ სტადიონზე. ეს ამბავი ჩემს სკოლის წლებს ჩინებულად დააგვირგვინებდა. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ნაკრებში მოვხვდებოდი. მიუხედავად ამისა, უფრო მონდომებით ვვარჯიშობდი. მინდოდა უძლიერესი ვყოფილიყავი.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა დალი კოკაია-ფანჯიკიძემ.



# ნიღბით და უნიღბოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხუთი ტყვია ზედიზედ

ულამაზესი ლიმუზინი გაჩერდა საპარიკმახეროსთან, მე-7 ავენიუსა და 51-ე ქუჩის კუთხეში; პეწიანად ჩაცმულმა ჯენტლმენმა კარი შეაღო. პარიკმახერი გულმოდგინედ შეუდგა ნაცნობი კლიენტის პარსვას... უეცრად სადალაქოს კარში ორი ნიღბოსანი აღიმართა, აპრიალდა რევოლვერის შავი ლულა... ზედიზედ ხუთი ტყვია ჩააჭედეს სავარძელში მჯდომი ჯენტლმენის ზურგს. შემზარავად ჩამოწოლილ დუმილში ერთ-ერთმა ნიღბოსანმა პარიკმახერს მიმართა: „გამორთეთ ელექტროსაპარსი! ნერვებს მიშლის მისი ზუზუნი!..“ მეორეჯერ თქმა აღარ დასჭირებია დალაქს, — მან შესანიშნავად იცოდა, რომ განგსტერების განერვიულება არ შეიძლება. მათი სულიერი სიმშვიდის დაცვისათვის უბრალო დალაქი კი არა, უფრო მაღლა მდგომი სახელმწიფო მოხელეები ზრუნავენ.

არ იფიქროთ, რომ ეს ამბავი ჰოლივუდის რომელიმე ფილმის ეპიზოდია. ეს ნამდვილად მოხდა ცოტა ხნის წინ. ნიღბოსანი უცნობები... გვამი სავარძელში.., მკვლელი, რომლის ნერვებზედაც გამაღიზიანებლად მოქმედებს საპარსი მანქანის ზუზუნი..,

ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე ალბერტო ანასტასიმ — ამერიკის „მკვლელთა სინდიკატის“ მეთაურმა. ასე მოხდა „სახელმწიფო გადატრიალება“ განგსტერთა მონარქიაში. სენსაციური ცნობებით აივსო ამერიკული და დასავლეთ-ევროპული პრესა. იგონებდნენ ანასტასის დინასტიის ცხოვრების „ლირიკულ“ წვრილმანებს (ექვსი ძმიდან — ხუთი ბანდიტი და ერთი მღვდელი!). გატაცებით აღწერდნენ განსვენებული ალბერტოს ათივე პატიმრობას (აქედან ხუთი — მკვლელობისათვის). ხაზს უსვამდნენ, რომ პირადად მას 60-მდე კაცი ჰყავდა მოკლული. დეტალურად ახასიათებდნენ ანასტასის ბუნებას, საიდანაც ჩანდა, რომ „საცოდავს“ ძალიან კეთილი გული ჰქონია — არავინ არ მოუკლავს „სიძულვილის გამო“; რომ ბავშვურად უყვარდა მოხუცი დედა; რომ „დიდად ნიჭიერი“ კაცი იყო. დაიწყო ცარიელ-ტარიელმა და რამდენიმე მილიონი მოიხვეჭა; რომ შესანიშნავად ისროდა (თუმცა ამბობენ, რომ განგსტერი გურინო — წიწილა სჯობნიდაო). ზოგიერთი ჟურნალი გულაჩუყებული აღნიშნავდა: უბედური ალბერტო თავის დაკრძალვას რომ დასწრებოდა, ალბათ, ეწყინებოდაო. მისი დასაფლავება განა შეედრებოდა იმ პატივს, რომელიც სიცოცხლეში ჰქონდა? აი, მისი ძმა ჯოზეფი დაკრძალეს მეფურად: მარმარილოსა და ბრინჯაოს 6.000 დოლარიანი კუბო, ასი მუსიკოსი, 15 ათასი დოლარის ყვავილები.,. აი, როგორ უნდა ბანდიტის დაკრძალვა!

## ახალი წინამძღოლის ვილა

...შემოდგომის მზე ოქროსფრად ილვრება სახლის წინ, ხელოვნურ გუბურაში. თეთრსვეტებიან აივნიდან სტუმრების მხიარული ლაპარაკი ისმის. გულითადი მასპინძლის ჯო ბარბარას მსახურნი ხმაურით ხსნიან შამპანურის ბოთლებს... „კადილაკები“ და „კრეისლერები“ პრიალებენ ხასხასა მოლზე. უეცრად ერთად აყეფდა მასპინძლის თორმეტივე ძაღლი. სტუმრები (უნდა ითქვას, რომ ისინი იყვნენ ხანში შესული, სოლიდური მამაკაცები) სწრაფად გაიფანტნენ: ზოგმა მანქანებს მიაშურა, ზოგმა მახლობელ პარკს შეაფარა თავი, ზოგი საწოლქვეშაც კი შეძვრა.,. თითქოს ეს-ეს არის ტყვიამფრქვევის ჯერს უცდიანო.

შეყვითლებულ ფოთლებში ჩიტები ჟღურტულებენ.,. დამალულნი სდუმან. უცბად ნერვიულმა სიცილმა ჩაირბინა მათ რიგებში; ვიღაცამ ხმამაღლა გამოაცხადა: „ეს მხოლოდ პოლიცია ყოფილა“! ამ ცნობამ გაამხნევა ჯო ბარბარას სტუმრები. აბა, როგორ! მათ შორის არც ერთი არ არის პოლიციის დევნის ობიექტი: არავის არ დაურღვევია მანქანით მოძრაობის წესები, უნებართვოდ არც ართი არ ატარებს იარაღს... მართალია, მათ ბიოგრაფიებში არის ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი: სტუმრები განგსტერთა ბანდების წინამძღოლები არიან. მთელი ამერიკიდან მოიყარეს თავი ანასტასის მოკვლის შემდეგ. მერე — და ეს ხომ მიზეზი არ არის დაპატიმრებისათვის?

ისევ ალაპარაკდა დასავლეთის პრესა. ახლა ჯო ბარბარა და მისი სტუმრები მოექცნენ ყურადღების ცენტრში. ანასტასის შემცვლელი თურმე ძალიან „დემოკრატიული“ კაცი ყოფილა — აპოლაჩენოს (სადაც მისი ვილაა) ყველა მცხოვრებს „ჰელლოს“ეუბნება: დიდად მოსიყვარულე მამა გახლავთ — თავის თექვსმეტი წლის ქალიშვილს წავის მოსასხამი და ავტომანქანა უყიდა... მოკლედ, ბევრი ღირსება გააჩნია. მართლაც და, რატომ უნდა ეშინოდეს პოლიციისა ჯო ბარბარას?!

ჯო ბარბარა ვიტო ჟენოვეზმა შესცვალა, პოლიციაში ჩავარდნილმა ჟოზეფ ვალაჩიმ სინდიკატის ბევრი საიდუმლო გაამხილა. ჟენოვეზი ამჟამად ციხეშია ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის (სხვა მიზეზი ვერ გამონახეს) და განგსტერთა სამეფო ტახტისაკენ ალბერტო ანასტასის უმცროსი ძმა ანტონიო მიილტვის...

## ცოტა რამ ისტორიიდან

ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი ბანდიტის გვარი იტალიურია. დიახ, ამერიკის განგსტერთა დიდი უმრავლესობა იტალიის ბანდიტური ორგანიზაციის „მაფიას“ ყოფილი წევრები, ან მათი შთამომავლები არიან. ოდესღაც „მაფია“ გლეხთა გაერთიანება იყო და მემამულე არისტოკრატიის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ ის დრო დიდიხანია წარსულს ჩაბარდა და „მაფიელები“ დახელოვნებულ მძარცველებად და მკვლელებად იქცნენ. გასული საუკუნის ბოლო წლებში ბევრმა „მაფიელმა“ მიაშურა შეერთებულ შტატებს. აქ მათ კარგად შეისისხლხორცეს ამერიკული განგსტერიზმი. ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში შტატებში ჩამოყალიბდა მსხვილი განგსტერული ორგანიზაციები, ხოლო 1934 წელს აღმოცენდა ე. წ. მკვლელთა სინდიკატი, რომელსაც „კოოზა ნოსტრა“ (იტალიურად ნიშნავს — „ჩვენი საქმე“) ეწოდება. „კოოზა ნოსტრას“ ლიდერებად ითვლებოდნენ განგსტერული სამყაროს „ვარსკვლავები“: ლუკი ლუჩიანო, ჯო ადონისი, ფრანკ კოსტელო, ალბერტო ანასტასი და სხვ.

„სინდიკატმა“ ჩქარა იგდო ხელთ აზარტულ თამაშობათა ბუნაგების, სამეძაო სახლებისა და ალკოჰოლიანი სასმელების კონტროლი, აწყობდა შანტაჟს, ბანკების ძარცვას, გატაცებას, მკვლელობებს.,. იწვევდნენ ყრილობებს, იმუშავებდნენ გეგმებს... მობილიზაციას უკეთებდნენ „დანისა და კლიტეების“ ოსტატებს. სხვათაშორის, ერთ-ერთი „მობილიზებული“ იყო ვინმე ეიბ რილსი, რომელმაც შემდგომ თავის დაძვრენის მიზნით თავისი მეგობრების საქმიანობის გაცნობა შესთავაზა გამომძიებლებს. ყოფილმა თანამშრომლებმა იგი დაიხსნეს სასამართლოსაგან, ოტელის მეოცე სართულიდან გადმოაგდეს და ამ ფაქტის შესახებ სევდანარევი იუმორით შენიშნეს: „ეჰ, რას იზამ.., ამ ჩიტმა გალობა იცოდა, ფრენა კი არ სცოდნია“,..

## ამაზე გამოკვლევებსაც წერენ

დოლარის იმპერიაში ფული მბრძანებლობს. ფული კი საკმარისად აქვთ განგსტერებს. ამიტომ სახელმწიფო წონაც საკმაო აქვთ. თვითონ განსაჯეთ: ყოფილი ფედერალური პროკურორი პოლ ვილიამსი ბანდიტების ყოველწლიურ შემოსავალს (მხოლოდ ძარცვა-მკვლელობის შედეგად) 2.280 მილიონ დოლარს ანგარიშობს. სხვა ცნობებით, შტატების ეროვნული შემოსავლიდან ყველა სახეობის ბოროტმოქმედებით 20 მილიარდი დოლარი „ჰქრება“. ეს თანხა ორჯერ მეტია უდიდესი საავტომობილო კორპორაციის „ჯენერალ მოტორსის“ შემოსავალზე. როგორც წესი, ყოველი „კაპო“ მილიონერია, ვიტო ჟენოვეზის ქონებას 30 მილიონად აფასებენ.

ამ საკითხებზე გამოკვლევებსაც წერენ ამერიკელი სოციოლოგები. გამოსულია ათობით წიგნი: კლიფორდ შოუს „ბოროტმოქმედებათა რაიონი“, დონალდ კლემერის „საპატიმროთა გაერთიანებანი“, ფსიქიატრ რალფ ბრენკეილის შრომები და ა. შ. ამ ავტორებს აინტერესებთ ამერიკულ ბოროტმოქმედებათა ფესვები. მართლაც და, ბანდიტიზმმა შტატებში მიიღო მეტად საშიში ფორმა. მოზარდთა დანაშაულობებმა სარეკორდო ციფრებს მიაღწია. ეს აშინებთ საერთოდ ყოველგვარი რეკორდების მოყვარულ უბრალო ამერიკელებს. ხელისუფლება უძლურია, ზოგიერთი სახელმწიფო ორგანო მათთან კონტაქტსაც არ თაკილობს. მათ „წონას საზოგადოებაში“ გუნდრუკს უკმევს პრესა და ხელოვნების ყველა დარგი; წიგნი, კინო, რადიო, ტელევიზია გატაცებით უმღერიან ბანდიტების „საარაკო მამაცობას“. მოკლედ, განგსტერი უზრუნველყოფილია ამქვეყნიური სამოთხით და თუ ფიქრობთ, რომ „ზეციურ სამოთხეში“ არ შეუშვებენ, ძალიან ცდებით... სასულიერო პირთა შორისაც მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მათ გზას ულოცავენ.

**ალ. სანაძირაძე**



# მოკლედ ყველაფერზე

### ჩვენ არ ვკითხულობთ წიგნებს

პორტუგალიაში, ქალაქ მენხას მესვეურებმა შეამჩნიეს, რომ მცხოვრებნი არც ისე დიდი ხალისით ეტანებოდნენ წიგნების კითხვას. მაღაზიებში წლობით ეწყო ე. წ. „ჩაწოლილი წიგნები". მაშინ ადგილობრივმა ხელისუფლებმა უცნაურ ხერხს მიმართეს: ქალაქის ქუჩებში ჩამოატარეს სახედრები და აქლემები, რომლებსაც ყელზე შემდეგი წარწერა ჰქონდათ ჩამოკიდებული: „ჩვენ არ ვკითხულობთ წიგნებს!" ამ ხერხმა გასჭრა, წიგნის მყიდველთა რაოდენობამ ქალაქში საგრძნობლად იმატა.

### რამდენი ხე სჭირდება ადამიანს

ამერიკელმა სწავლულმა სმიტმა გამოიანგარიშა, რომ თვითეულ ადამიანს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საშუალო ასაკის 400-მდე ძირი ხე სჭირდება, აქ ნაგულისხმევია არა მარტო ბინა და ავეჯი, არამედ ასანთი, ქაღალდი და სხვა საგნები, რომლებსაც ადამიანი ყოველდღიურად ცხოვრებაში ხმარობს.

### ვინ ლაპარაკობს ყველაზე მეტს

შვედმა ეთნოგრაფმა სტანდბერგმა ამას წინათ გამოაქვეყნა თავისი მრავალი წლის მუშაობის შედეგები. მეცნიერი, რომელიც ჩვენი პლანეტის ხუთივე კონტინენტზე აწარმოებდა დაკვირვებას, ირწმუნება, რომ მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად მოლაპარაკე ხალხები—ფინელები და კანადელები არიან. სტანდბერგისავე ცნობებით, ყველაზე მეტს და ხმამაღლა ლაპარაკობენ იტალიელები, ბრაზილიელები და მექსიკელები.

### რაზე დგას თქვენი ტელევიზორი?

რა საკითხავია? დგას პატარა სპეციალურ მაგიდაზე... ასე იყო აქამდე. ახლა კი ვარშავის საწარმო „უნივერსალის" კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს ის მაგიდაც უქმად არ იდგეს; მათ დაიწყეს ახალი მინიატურული მაცივრების გამოშვება. ლამაზი ფორმის მაცივარი 40 ლიტრის ტევადობისაა. იგი დეკორაციულად არის მოპირკეთებული ხის მასალით. მაცივარი შეიძლება ტელევიზორის ანდა რადიომიმღების დასადგმელადაც გამოვიყენოთ.

### თაფლით სავსე ქანდაკება

ათეული წლების განმავლობაში დგას გენერალ რობერტ ლის ძეგლი ქ. რიჩმონდის (ამერიკის შეერთებული შტატები, ვირგინიის შტატი) ვეება მოედანზე... მცხოვრებლები იმდენად შეეჩვივნენ ძეგლს, რომ ზედაც აღარ უყურებდნენ; და აი, ერთ დღეს ძეგლების მომვლელმა გადაწყვიტა კარგად გადაეწმინდა მტვერი ბრინჯაოს გენერლის მუნდირიდან და ზედ აბობლდა. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გენერლის ცხენის მუცელში იპოვა... 150 ფუთი თაფლი. თურმე ფუტკრებს თავისი სკა გაემართათ ძეგლში და თაფლი იქ ეგროვებინათ.

### შეტევაზეა ცენტრფორვარდი

ესპანეთის ცირკმა თავის პროგრამაში შეიტანა ფეხბურთი, რომელსაც გაწვრთნილი მაიმუნები თამაშობდნენ; ორივე გუნდი შედგებოდა ექვს-ექვსი „ფეხბურთელისაგან", რომლებიც მწვრთნელმა ისე დაასტატა, რომ მათ უკვე თავიანთი გულშემატკივრები გაიჩინეს; მაყურებლები ღრიალით იკლებდნენ იქაურობას, როცა ცენტრალური თავდამსხმელი ბურთს წაიღებდა. ერთი მატჩის დროს ისეთი შეხლა-შემოხლა გაიმართა, რომ მსაჯი (ეს ადამიანი გახლდათ) გონებადაკარგული წაიყვანეს საავადმყოფოში.

## იუმორი

* * *

— საით გარბიხარ, ბიჭო, ასე თავქუდმოგლეჯილი?

— ცოლს ახალი შლიაპა ვუყიდე და მინდა სახლში მივასწრო, ვიდრე მოდა გამოიცვლებოდეს!

* * *

— ამბობენ, გენიოსობა ავადმყოფობაო!

— მერე რა? თქვენ რატომ ღელავთ? სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებით!

* * *

— ხომ არ გახსოვს, ლევან, როდის გადის ჩემი მატარებელი? — ჰკითხა სიდედრმა სიძეს.

— თექვსმეტი საათის, თერთმეტი წუთისა და ჩვიდმეტი წამის შემდეგ, ძვირფასო დედა! — სწრაფად უპასუხა სიძემ.

* * *

— იცით რატომ შევიძინე მანქანა? იგი დამეხმარება უკეთ გავეცნო სამყაროს!

— რომელს, საქაოს თუ საიქიოს?..





შურიანი მეზობელი



საინტერესო რომანი

უსიტყვოდ
ნახატები ა. ერაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე: პარადის შემდეგ. ნახატი რ. სტურუასი

რედაქტორი გ. ნატროშვილი. პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/IV-65 წ. გამოც. № 65, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 1393, უე 07760

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ. გაბაშვილი

ისევ შრომა

ო. ჯიშკარიანი
სამშობლოს სადარაჯოზე



ИНДЕКС 76056
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ე. მეძმარიაშვილი „ავრორას" მოწოდება



ზ. წერეთელი მშვიდობის სადარაჯოზე



ნ. მესხიძე
მამა